

# 24 საათი

გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 22 იანვარი, 2004 წელი. №17 (566)

ფასი 50 თეთრი

**საფოსტო  
ბანკის  
დიქტატორის  
ცოლს პოლიციის  
სამმართველოში  
ახსნა-განმარტება  
ჩამოართვის**

გუშინინ, მოქმედ პრეზიდენტთან და სახელმწიფო მინისტრთან ძალადგანთავსების შემდეგ, სადაც ლტოლვილთა და პენსიონერთა კუთვნილი მილიონების "შეჭამა" ბრალდებული "საფოსტო ბანკის" საქმე განიხილება და, გუნდური პრინციპით მომუშავე სამართლებრივ დეპარტამენტში მკაცრი გადაწყვეტილება მიიღეს "საფოსტო ბანკის" მმართველთა დასჯის შესახებ. გუშინ, გვიან ღამით, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები "საფოსტო ბანკის" გენერალური დირექტორის სერგო იაკობიძის საცხოვრებელ სახლში მივიდნენ და პოლიციის სამმართველოში მისი ცოლი ნათელა პაპიაშვილი წაიყვანეს. საქმე ისაა, რომ ძალადგანთავსების შემდეგ სერგო იაკობიძის პასუხისმგებლობაში მიცემის პროცედურაზე მუშაობენ, ეჭვმიტანილი ბანკირი სახლში არ დახვდათ.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის, კრიმინალური პოლიციის უფროსის დავით კეკელიას განცხადებით, სერგო იაკობიძის ცოლი პოლიციას არ დაუკავებია, უბრალოდ, "ის სამმართველოში მიიყვანეს გამოსაკითხად." ჩვენი ინფორმაციით, სამართლებრივ დეპარტამენტში დაკავშირების ცოლის-გან მისი ქმრის ადვოკატის დახმარებით დადგენა სურდათ.

24 საათი

**აკონოია  
მსოფლიო ბანკი  
საქართველოში  
მოსალოდნელი  
სტრატეგიული  
ცვლილებებზე  
ინტერვიუება**

ის პროორიტეტები უნდა განისაზღვროს, რომელიც სტრატეგიული გარდაქმნების მეოთხე კრედიტის ფარგლებში 60 მილიონით დაფინანსდება.

A4

**უცხოეთი  
სომხეთი:  
ტრეფიკინგი -  
უკონტროლო  
პრობლემა**

ათასობით სომეხი ქალი სექსუალურ ექსპლუატაციას განიცდის თურქეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში.

A5

**საზოგადოება  
სახელმწიფო ხალხს  
აღარ მოატყუებს**

საქართველოს ახალი პრეზიდენტის პირველი ნაბიჯი პენსიების მომატება იქნება

A6

**ანიონი**

თბილისი	12	☁
ქუთაისი	14	☁
ბათუმი	16	☁
სოხუმი	14	☁
ფოთი	15	☁
თელავი	10	☁
ჯუჯუმი	14	☁
ბორჯომი	8	☁
ახალციხე	11	☁
ჭიათურა	11	☁
ბაზრა	13	☁
სამტრედია	14	☁

**უცხოური ვალუტის  
ოფიციალური კურსი  
ლარიდან აშშ-დოლარიმდე**

აშშ დოლარი	2.1300
ევრო	2.6870
გირვანქა სტერლ.	3.8875
რუბლი	0.0740

## ჭიჭიაშვილი მზადაა ადიარაბითი ჩვენებისთვის

შოთა ჭიჭიაშვილი ვალერი ხაბურძანიას დეტალური ზეპირი ჩვენება უკვე მისცა

ინტერვიუ

"რასაც მკითხავთ, ყველაფერს ვიტყვი," - ასეთი რეზიუმით დასრულდა უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიასა და ცნობილი ქიტი ტერორისტის შოთა ჭიჭიაშვილის რამდენიმე საათიანი ფრენა. გუშინ, საღამოს რვა საათზე თბილისის აეროპორტში დაშვებულმა სპეცთვითმფრინავმა შოთა ჭიჭიაშვილი საქართველოში ჩამოიყვანა. პირველი წერილობითი ჩვენებები ქისტმა კრიმინალმა ლეფორტოვოს საგამოძიებო იზოლატორში მისი გამოძიებებს უკვე ჩააბარა.

თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რუს სამართალდამცველებს მიცემულ ჩვენებებში შოთა ჭიჭიაშვილმა პანკისური ისტორიების თაობაზე მხოლოდ ზედაპირულ ინფორმაციებს მიანოდა. მათი დეტალიზირებით არც მსგავსი წარმომადგენლები დაინტერესებულან, მეტიც, ისინი შოთა ჭიჭიაშვილის დუმის შენარჩუნებას ურჩევდნენ. ამის მიზეზად ქართველი კანონდამცველები პანკისული კრიმინალის მფარველ მალაჩინოსებს მიიჩნევენ.

არადა, შოთა ჭიჭიაშვილმა ჩვენება უშიშროების მინისტრს ვალერი ხაბურძანიას უკვე მისცა, თავდაპირველად - ლეფორტოვოს იზოლატორში, უფრო დეტალური კითხვებით, თვითმფრინავში. თუმცა, ცნობილი დამნაშავეს ზეპირ ჩვენებას კანონის ძალა მას შემდეგ მიეცემა, რაც მას უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფი ოფიციალურად დაკითხავს. შოთა ჭიჭიაშვილი მზად არის, "ყველაფერი მოყვეს".

ქიტი ვაშაბიტის შოთა ჭიჭიაშვილის კრიმინალური "არქივი" სოლიდურად გამოიყურება. ვეფხია მარგოშვილის მკვლელობის შემდეგ, პანკისის ხეობაში შექმნილი ერთ-ერთი პირველი სერიოზული კრიმინალური დაჯგუფების, ვეფხია მარგოშვილის ჯგუფის ლიდერი სწორედ შოთა ჭიჭიაშვილი

ბაზრულიან A7 ბაზრულიან



შოთა ჭიჭიაშვილი თვითმფრინავით ექსტრადირებისას.

## ჭორჭ ბუზი: ამერიკის სიტყვებში ექვნი აღარავის შეეპარება

"24 საათის" სპეციალური რეპორტაჟი აშშ-ს კონგრესიდან



ასე ესალმებოდა ჭორჭ ბუზს აშშ-ს კონგრესი.

**პრეზიდენტის  
განსაზღვრავალი  
ქალაქი თუ  
დაბალსაბიჯი  
ხალისუფლება?**

დისკუსია  
საკონსტიტუციო  
ცვლილებებზე

იკა კვსიტაძე

საკონსტიტუციო ცვლილებებზე – როგორც ახალი ხელისუფლების უახლოეს გეგმაზე, მიხილთ სააკაშვილის საჯარო განცხადება მისი პრეზიდენტად არჩევის დღეს ვაკეთებთ. ამ ცვლილებებზე მუშაობა ხელისუფლებაში უკვე დიდი ხანია დაიწყო. პროექტს, რომელიც სამ ლიდერს შორის მიღწეულ კომპრომისგან განსხვავებული, ჯერ მზის სინათლე არ უნახავს, თუმცა ზოგადად ცნობილია ის პრინციპები, რომელიც ახალ მოდელშია ჩადებული. პროექტს უკვე გამოუჩნდა სერიოზული ოპოზიცია არასამთავრობო ორგანიზაციების სახით. ვთავაზობთ დისკუსიას, რომელიც მონაწილეობს გიგა ბოკერია და მიხილთ მაჭავარიანი.

ბაზრულიან A8 ბაზრულიან

**რუსუბლიკარი  
პარტიის  
ქოტრაქტუალური  
პრეზენტები**

გიორგი ასანიშვილი

"ახლა ჩვენი დროა!" - აცხადებენ რუსუბლიკური პარტიის ხელმძღვანელები და კბამოცილებს არ მალავენ იმის გამო, რომ ვარდების რევოლუციის შედეგად, პოლიტიკურ ოლიგქვე აღმოჩნდნენ. მათი თქმით, ხელისუფლებაში ყოფნა მათ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ უნდათ, რომ თავიანთი კონცეფციებისა და შეხედულებების რეალიზების შესაძლებლობა მიეცეთ.

რუსუბლიკური პარტია არასდროს ყოფილა პოლიტიკური ორგანიზაცია. ამასთან დაკავშირებით, პარტიის თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი ერთგვარი თვითირონითაც კი საუბრობს: "რადღენობრივი"

ბაზრულიან A3 ბაზრულიან

**საქართველოს  
გაზომარებას  
საფრთხე ახლა  
ჩაინათღან  
დაეშქრა**

თამარ ხორბალაძე

გასულ შემოდგომაზე, როცა ძველი ხელისუფლება საქართველოს პრესითთან აბსოლუტურ ენერჯომოდო კიდებულებაში აგდებდა, ოპონენტები სწორედ ისეთ საშიშროებებზე ამახვილდნენ ყურადღებას, როგორც მოწინავე ამ დღეებში გახლდით - რუსეთის ბაზარზე ორ რუსულ გიგანტს - "გაზპრომსა" და "იტერას" შორის წარმოქმნილი უთანხმოება საქართველოს რეგიონებს კინაღამ გაზომარეების შეწყვეტად დაუჯდა.

ეს საფრთხე ბოლომდე გადავილიც არ იყო ("24 საათი" გუშინ უკვე წერდა, რომ გაზპრომის ლიდერი ალექსეი მილერი ქართული და სომხური გაზის კომპანიების ხელმძღვანელებს ერთ კვირაში „იტერასთან“ სადავო საკითხების მოგვარებას დაჰპირდა), რომ საქართველოს გაზომარეების ახლა ჩეჩენიდან დაემუქრა საფრთხე.

ბაზრულიან A4 ბაზრულიან



# რესპუბლიკური პარტიის პოსტრევოლუციური პრატიკები

პირველი გავრცობა

თვალსაზრისით, ყველაზე შთამბეჭდავად მაშინ გამოვიყურებოდი, როდესაც არაღვალურად ვსაქმიანობდით. მაშინ, საბჭოთა პერიოდში, დაახლოებით ასნი ვიყავით".

ბოლო დრომდე საზოგადოებაც რესპუბლიკელებს უფრო ინტელექტუალურ ძალად აღიქვამდა, ვიდრე პოლიტიკურ ორგანიზაციად. თუმცა, როგორც ჩანს, სიტუაცია მალე შეიცვლება: ძველი სტატუსი რესპუბლიკელებს უკვე აღარ აკმაყოფილებს.

“საკმარისი აღარ არის, წარმოვიჩინეთ მხოლოდ ინტელექტუალურ ჯგუფად, რომელიც გარკვეული იდეებისა და კონცეფციების ერთგვარ გენერატორს წარმოადგენს. ამიერიდან პოლიტიკურ სარბიელზე უნდა ვაჩვენოთ ჩვენი ძალა”, - განაცხადა “შერატონ მეტეზი პალასში” გუშინ გამართულ კონფერენციაზე დავით ბერძენიშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელებს საკმაოდ კარგი ინტუიცია აღმოაჩნდათ და მიხილეს სააკაშვილის “მომავლის მატარებელში” ჯერ კიდევ ორი წლის წინათ საუკეთესო ადგილები “დაიჯავშნეს”, დავით ბერძენიშვილსა და მის თანაპარტიელებს კარგად ესმით, რომ მძაფრი პოლიტიკური კატაკლიზმების პირობებში, ეს კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს: ისინი ზურგს უკან უკვე გრძნობენ კონკურენტების სუნთქვას, რაც ძალიან ალიზიანებს.

რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელებში განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მმართველობის სისტემის სავარაუდო რეფორმა, რო-



აქამდე ინტელექტუალური გაერთიანება პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბებას გეგმავს.

მელიც პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღებას გულისხმობს.

ზანშეუნონელი იქნება. აღმასრულებელ ხელისუფლებას ძლიერი პრეზიდენტი უნდა ედგას სათავეში. არსებული კონსტიტუციური მოდელი იძლევა საშუალებას, სა-

ხელმწიფო მინისტრს ოდნავ გაეზარდოს უფლებამოსილება. ხოლო თუ ვინმეს სახელმწიფო მინისტრის სახელი არ სიამოვნებს, ეს პრობლემას წარმოადგენს - მას შე-

იძლება პრემიერ-მინისტრი დაერქვას. აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით პასუხისმგებლობის გახლეჩა კი დაუშვებელია”, - აცხადებს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე.

როგორც ცნობილია, ყოფილ პრეზიდენტს ხშირად საყვედურობდნენ, რომ მას ძალიან ბევრი ფუნქცია ჰქონდა შეთავსებული, რომელთა აღსრულებასაც ის, ხშირად, თავს ვერ ართმევდა. საქმე იქითკენ მიდის, რომ თავის დროზე შევარდნაძეზე დელიგირებულ ფუნქციებზე უარის თქმას არც ახლადარჩეული პრეზიდენტი აპირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, დავით ბერძენიშვილი ასეთ განმარტებას აკეთებს: “შევარდნაძეს ისეთი ფუნქციები ჰქონდა შეთავსებული, რომლებიც კონსტიტუციით არ იყო გათვალისწინებული. ის აკონტროლებდა როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასაც. ჩვენ კი გვინდა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი იყოს ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფალი და დანარჩენი სახელისუფლებო შტოები მის მხოლოდ პოლიტიკურ პარტნიორებს წარმოადგენდნენ”.

გუშინდელ პარტიულ კონფერენციაზე ძლიერი პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღების წინააღმდეგ გამოვიდა ლევან ბერძენიშვილიც. მისი თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებების მომხრეები საზოგადოებრივ აზრს არ ითვალისწინებენ. ამასთან, ლევან ბერძენიშვილი არცთუ ისე მაღალი წარმოდგენისა იმ პოლიტი-

კოსებზე, რომლებიც დღეს ქვეყნის მართვის სადავეებთან არიან.

“მხოლოდ მიხილეს სააკაშვილი დგას საბოლოო საზოგადოების შესაფერის დონეზე, სხვები კი, თუნდაც მეორე და მესამე პირები, ცილებით დაბლა დგანან”, - აღნიშნავს ლევან ბერძენიშვილი.

სავარაუდო საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით შემფოთებას გამოიქვამს დავით უსუფშვილიც. მისი მტკიცებით, “გარკვეული ნრები კიდევ ერთხელ ცდილობენ, ქვეყნის კონსტიტუცია გარკვეულ პირებს მოარგონ და ქვეყნის ძირითად კანონში ცვლილებები ამის გათვალისწინებით განახორციელონ”.

კონფერენციაზე მრავალმა გამოხატვაზე გაუსვა ხაზი იმ როლს, რომელიც “ვარდების რევოლუციის” მომზადებისა და წარმატებით დაგვირგვინების საქმეში არასამთავრობო სექტორმა შეასრულა. ამ წვლილის დასაფასებლად ლევან ბერძენიშვილი “ენჯელოებისთვის” ერთგვარ “მატერიალურ კომპენსაციას” ითხოვს: “სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი პროცენტი უნდა გამოიყოს არასამთავრობო სექტორისთვის, რომელიც ასე პროცენტი გაისარჯა იმისთვის, რომ ქვეყნის სათავეში დღევანდელი ხელისუფლება მოსულა”.

“მესამე სექტორისადმი” რესპუბლიკელების ასეთი სიმპათია ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს: თავად დავით ბერძენიშვილიც აღიარებს, რომ მისი პარტიული მეგობრების დიდი ნაწილი სწორედ არასამთავრობო სექტორშია “გამძიავებული”.

## აბაშის მაჟორიტარის ვინაობა ბარკვეულია

სხვა ოლქებში ხელახალი არჩევნები ინიშნება

აბაშის მაჟორიტარი დეპუტატი “მრეწველთა” პარტიის პროტყეე პაატა ქურდოვანიძე გახდა. გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ერთხმად დამტკიცა აბაშაში გამართული განმეორებითი კენჭისყრის შედეგები და, შესაბამისად, გამარჯვებული დეპუტატი უფლებამოსილებით აღჭურვა. არადა, ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები, ქურდოვანიძის მთავარი მონაღმდღეის - თენგიზ კალანდაძის მხარდამჭერები, გუშინ ამტკიცებდნენ, რომ “ცესკო-მ არ შეასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება სადავო ბიულეტენების გადათვის

თაობაზე და ქურდოვანიძის დამტკიცება მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით (ანუ “მრეწველთა” და “ნაციონალისტის” გარიგების გამო) მოხდა.”

თავის მხრივ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილი ჯგუფის წევრებმა, რომელთაც მაჟორიტარული არჩევნების შედეგების გადამოწმება ჰქონდათ დავალებული, ცალსახად განაცხადეს, რომ მათ ხელთ არსებული დოკუმენტაციის თანახმად, არჩევნების შედეგები სწორედ ქურდოვანიძის გამარჯვებაზე მეტყველებდა.

აბაშისაგან განსხვავებით (სადაც ახალი მაჟორიტარის ვინაობა უკვე გა-

რკვეულია), სრულიად ბუნდოვანი სურათია შექმნილი ჭიათურაში. იმის გამო, რომ უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა “საფოსტო ბანკის” ყოფილი დირექტორის, ერთ-ერთი მაჟორიტარი კანდიდატის სერგო იაკობიძის სარჩელი და ძალაში დატოვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მეორე ტურის შედეგების ბაზაზე ცნობის თაობაზე, რაიონში ხელახალი არჩევნები დაინიშნა. თუმცა, ჯერ არავინ იცის, როდის გაიმართება კენჭისყრა და ვინ მიიღებს მასში მონაწილეობას. საქმე ის არის, რომ ხელახალი არჩევნების დროს ყველა საარჩევ-

ნო პროცედურა თავიდან უნდა ჩატარდეს. უნდა დასახელდეს ახალი კანდიდატურებიც. ხოლო მათ, ვინც თავის დროზე მონაწილეობას იღებდნენ მაჟორიტარულ არჩევნებში, ხელახალი რეგისტრაცია აქვთ გასავლელი.

ამასთან, გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჭიათურაში მაჟორიტარული არჩევნების თარიღად შვიდი მარტი დასახელა, მაგრამ სულაც არ არის გამოცხადებული, უახლოეს დღეებში კომისიამ თხოვნით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს და კენჭისყრის დღედ 28 მარტის დასახელება მოსთხოვოს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გამოთავისუფლებულია სხვა მაჟორიტართა სავარძლებიც (დიდუბის მაჟორიტარ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, ხოლო ბათუმისა - აჭარის შესაბამისი სტრუქტურის თავკაცი). ასე რომ, შესაძლოა, ხელახალი მაჟორიტარული არჩევნები რამდენიმე რაიონში 28 მარტს გაიმართოს. ყოველ შემთხვევაში, ცესკო-ში სწორედ ასეთ პროგნოზს აკეთებენ. სხვათა შორის, უკვე რამდენიმე დღეა, რაც საარჩევნო ადმინისტრაციებში სტრუქტურული რეორგანიზაცია მიმდინარეობს. გუშინ ცესკო-მ კიდევ ერთი ცვლილება და ახ-

ალი - საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწის შტატი დამტკიცა. ამ გადაწყვეტილებით, იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც 30-ზე მეტი საარჩევნო უბანი გაიხსნება, საოლქოს თავმჯდომარეს ერთი თანაშემწე ეყოლება, თუკი უბნების რიცხვი 60-ს გადაჭარბებს - ორი და ა.შ.

გუშინვე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა მის მიერვე მიღებულ დადგენილებებში “საარჩევნო პროცედურების ვადებისა” და “დღონისების გეგმების” თაობაზე.

24 საათი

# ჯეოსელის ლაგარიის სპეარ-გათაგაჟების მონაწილეთა სერკადლოდ!



**გაცნობათ, რომ ა.წ. 18 იანვარს ჯეოსელის წამახალისებელი გათაგაჟების მსვლელობისას ღარლვეულ იქნა ერთ-ერთი პირობა, რომლის თანახმადაც: “ჯეოსელის გათაგაჟებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ჯეოსელის თანაგპრობლას, დილაარბს, დისტრიბუტორარბსა და მათი მოჯახის წევრარბს”.**

**აღნიშნული პირობის ღარლვევის გამოკრიზი “ოროთახიანი ბინა” გათაგაჟდება ხელახლა ა.წ. 22 იანვარს 22 საათის შემდეგ ტელარბ “რუსთავი 2”-ზე.**

ჯეოსელის ადმინისტრაცი













# მსოფლიო შოუ

## მანა ჭალაბანიძე

პარტოზიონალი

"ღმერთმა უშველოს ამერიკას!" - ასე დაამთავრა წლის გამოსვლა კონგრესში აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და საარჩევნო კამპანია დაიწყო.

ეს იყო მსოფლიოს ცენტრში გამართული მსოფლიოს მთავარი შოუ, რომლის მონაწილეები ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალური პროგრამით მყოფი რამდენიმე ქართველი ჟურნალისტიც გახდნენ. ყველაფერი კი ასე დაიწყო: კაპიტოლიუმში "შოუსე პრესს გალერი"-ს უფროსი ჯერი გელიგოსს უნდა შეეხვედროდით. ზრდილობიანი მასპინძლები გვაფრთხილებდნენ, რომ განსაკუთრებული პროგრამა იყო და დროში შეზღუდვები ვიყავით... უპაერო, ვინრო, არეულ-დარეულ გალერიას პრესტიჟული ოფისი მარტო იმითომ ერქვა, რომ კაპიტოლიუმში მდებარეობდა. ერთმანეთში გამავალ ოთახებში ზოგი მუშაობდა, ზოგი პრესას ეცნობოდა და ზოგიც ჭამდა. ჯერი პრეს-სამსახურში დაბერებული ჭალარა, ამერიკული პენის არმქონე კაცი გახლავთ. ამერიკელებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ გაუთავებლად არ იღიმება. ამ საგიჟეთში ვისხედით და ჯერის სრულიად დამშვიდებულ საუბარს ვუსმენდით კაპიტოლიუმში მომუშავე ჟურნალისტების წარსულსა და აწმყოზე.

ამასობაში მატულობდა დაცვა და ბურგერებით მიიარაღებული ჟურნალისტების რიცხვი.

აშშ-ში ახალი ჩასული სრულიად შემთხვევით გადავჩრჩინა ჩაძინებას... ბუშის გამოსვლამდე რამდენიმე საათი იყო დარჩენილი. ვინ შეგვიშვებდა აკრედიტაციის გარეშე? ეს შეკითხვა ჯერისავე დავუსვით თუ ამ ოთახიდან ფეხს არ მოცივებით, სიტყვას დავასრულებთო, - მა-

რტივად გადაწყვიტა პრობლემა... ასე ნებაყოფლობით დავიტყვევეთ თავი ამერიკის კონგრესის უპაერო გალერიებში. უხილავ და ხილულ დაცვას რამდენიმე ხანში ბომბებზე დაგეგმილი გერმანული ნავაზი და ლაბრადორი შეუერთდნენ. ზრდილობიანად გამოგვაძვეეს ოთახებიდან და ჩანთები შეამოწმეს. პრეს-გალერეა "სუფთა" აღმოჩნდა. ცოტა ხანში მოიტანეს ვიდეოკასეტა, სადაც საფრთხის შემთხვევაში ქცევისა და საკმაოდ რთული მოხმარების აირნიზალის ჩვენება მოეწყო. ერთი პირობა ვინანე, რომ ამერიკის და არა რომელიმე ჩვენს პრეზიდენტს ვენიერებოდი...

სამი საათი იყო დარჩენილი. ბურგერები მატულობდნენ. ჩვენს კოლეგებს ჩვენგან, ძირითადად, სამი რამ აინტერესებდათ - როგორ ვუყურებდით ბუშს, ერასის ომს და რას ველოდით ჩვენი ახალი პრეზიდენტისგან. ჯერი კი... სულაც არ აღმოჩნდა მოსაწყენი ადამიანი. მუდმივად ყურადღების ცენტრში ვყავით, იქვე გაგვიკეთა აკრედიტაცია, გამოგვიყოფო საუკეთესო ადგილები. მე ზუსტად ბუშის თავზე მოვხვდი. ჯერიმ ყოველი შემთხვევისთვის მიჩრჩია, ხელით შეხება არ მომეძინებინა.

პრეზიდენტისთვის ხელის ჩამორთმევის მიზნით სენატორები ჩვენსავით სამი საათით ადრე მოვიდნენ და გასაველ ბილიკთან ახლოს დაიკავეს ადგილები.

დარბაზში შემოვიდნენ ჯერ რესპუბლიკელი, ხოლო შემდეგ დემოკრატი სენატორები. ყველაზე ნაცნობი - პილარი კლინტონი. მერე შემოვიდა სამხედრო ელიტა და დამოუკიდებელი მოსამართლე. მათ ჩვენი მოჰყვა კაბინეტით. კონდოლიზა რაისი და დონალდ რამსფელდი განსაკუთრებით მშობლიურად გამოიყურებოდნენ... მათ შემდეგ პირველმა ლედიმ დაიკავა აივანზე ადგილი და, აი, ისიც - ბუში. ახალი რომის ახალი იმპერატორი... ოვაციებში განუღილი პროცედურა...



რესპუბლიკელების ოვაციები - ბუშს

ალსანიშნავია, რომ პრესა არასდროს ფეხზე არ დგება და ოვაციებს არ აწყობს. ჯერიმ თავიდანვე გაგვაფრთხილა, რაც არ უნდა მოხდეს, ტაში არ დაუკრათო. განსაკუთრებული ოვაციები მაშინ ეწყობოდა, სადაც ამერიკის მსოფლიო ისტორიულ მი-

სიაზე იყო საუბარი - როგორც ჩანს, ამაში სიტყვით არც თუ ძალიან კმაყოფილი დემოკრატები რესპუბლიკელებს ეთანხმებოდნენ.

შოუ დასრულდა. ბუშს არ უხსენებია დემოკრატების პარტიული კონფერენცია, ანუ

შიდა არჩევნები, სადაც სრულიად მოულოდნელად დინის ნაცვლად, რომელსაც ბოლო დღემდე ყველა გამარჯვებას უნინასწარმეტყველებდა, სენატორი კერი ლიდერობს. აქ გავრცელებული აზრით, კერი ერთადერთია, ვისაც ნოემბერში ბუშის

დამარცხება შეუძლია. ბრძენი ექსპერტები ბოლომდე თავს იცავენ არასწორი პროგნოზებისგან. თუმცა, მოუხედავად სიბრძნისა და გამოცდილებისა, ალბათ, მან გავრცელებული აზრით, კერი ერთადერთია, ვისაც ნოემბერში ბუშის

# ჭორჭ ბუში: ამერიკის სიტყვაში ექვნი აღარაპის შეიპარება

გუშინ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ერის მიმართ თავის ყოველწლიურ მიმართვაში საგარეო და საშინაო პოლიტიკაში თავისი ადმინისტრაციის მიღწევებზე დაწვრილებით ისაუბრა და ამერიკის უწოდა "სახელმწიფო, რომელსაც მისია გააჩნია", "დემოკრატიული მშვიდობა" დაამყაროს მსოფლიოში. 54 წუთიანი გამოსვლა ამომრჩეველებზე იყო ორიენტირებული.

## რეკაზ ბახტაძე

პრეზიდენტმა ბუშმა თავისი გამოსვლა ერასის კამპანიის დაცვით დაიწყო და, ფაქტობრივად, პასუხი გასცა ომის მონაწილეობაზე. აღსანიშნავია, რომ ერასზე საუბრისას პრეზიდენტმა აქცენტი ქვეყნის "გათავისუფლებაზე" გააკეთა და არა ერასში არსებულ მასობრივი განადგურების იარაღზე. ბუშის ადმინისტრაცია ომის დაწყების წინ აცხადებდა, რომ სადამსახურების განადგურების იარაღი იარაღი ჰქონდა და საერთაშორისო მშვიდობას ემუქრებოდა. სწორედ ამ საბაბით დაიწყო ომი. თუმცა, ამერიკელ ინსპექტორებს მასობრივი განადგურების იარაღი ერასში დღემდე არ აღმოუჩენიათ.

ბუშმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ დაწყებული ომის დასრულებამდე ჯერ კიდევ შორია. "2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ოცდარვა თვემ გაიარა, ორმა წელმა ამერიკის მიწაზე თავდასხმის გარეშე და გვეგონია, რომ საფრთხე უკან მოვიტოვეთ, - აღნიშნა ბუშმა - ამგვარი იმედის არსებობა გასაგებია... მაგრამ მცდარი." პრეზიდენტმა კონგრესს ანტიტერორისტული კანონმდებლობის მიღებისაკენ მოუწოდა, რომელიც, კრიტიკოსების განცხადებით, სამოქალაქო უფლებების რეალურ შეზღუდვას გამოიწვევს.

ბუშმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ერასსა და ავღანეთში რეჟიმების შეცვლამ შედეგი სხვაგანაც გამოიღო. ამერიკის პრეზიდენტმა მავალითად ლიბია მოიყვანა, რომელსაც ცოტა ხნის წინ საკუთარი მასობრივი განადგურების პროგრამის მილიანად გაუშვებდა გადაწყვიტა.

პრეზიდენტმა ბუშმა შესაძლებლობა არ გაუშვა ხელიდან, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მონაწილედ დაგვეხსიანათ თავისი შეხსენებინა, რომ "ამერიკა არავის თანხმობას არ დაელოდება... ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად".

"მოდით, გულახდილები ვიყოთ... რომ არ გვემოქმედებდეს წინააღმდეგ, დიქტატორის მასობრივი განადგურების პროგრამები დღემდე გავრძელებოდა... უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ცარიელ მუქარად დარჩებოდა და ... მთელ მსოფლიოში დიქტატორები წახალისდებოდნენ," - დასძინა მან.

"დიპლომატიის ეფექტურად განსახორციელებლად, სიტყვები დამაჯერებელი უნდა იყოს და ახლა უკვე არავის შეეპარება ეჭვი ამერიკის სიტყვებში," - ხაზგასმით განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

პრეზიდენტი ბუში გუშინდელ გამოსვლაში ცდილობდა, რომ მისი პოლიტიკის ყველა ოპონენტისათვის ირიბად გაეცა პასუხი. ეს გასაგებია, რადგან წელს გაიმართებოდა პრეზიდენტის არჩევნები უნდა სამართაოს. სწორედ ამიტომ, პრეზიდენტი შეეცადა, ბოლო ხანებში მისი მისამართით გამოთქმული არც ერთი საფუძვლიანი შენიშვნა უპასუხოდ არ დაეტოვებინა და საკუთარი პოლიტიკა დაეცვა.

პრეზიდენტის თქმით, ოპონენტების კრიტიკას, რომ ერასის მისი ინტერნაციონალიზება უნდა მოხდეს, საფუძველი არა აქვს, მაშინ როდესაც ამერიკის მოქალაქეები სახელმწიფოები ჯარებს აგზავნიან ერასში.

როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტ ბუშს წლებიდან გამოსვლაში "ბოროტების ღერძი" აღარ უხსენებია. შარშან ამის გამო ჯორჯ ბუში ძალიან ბევრმა გააკრიტიკა. მათი მტკიცებით, ფხენიანთან და თეირანთან ურთიერთობების მკვეთრი გაუარესება სწორედ ამ განცხადებამ გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ გუშინდელ გამოსვლაში ბუშმა ჩრდილოეთ კორეა და ირანი მხოლოდ ერთხელ ასახა.

ჯორჯ ბუშმა განსაკუთრებული აქცენტი ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიზაციაზე გააკეთა, რაზეც კონცენტრირებული იქნება საინფორმაციო საშუალებები და ამერიკის მიერ დაფინანსებული პროგ-



"ამერიკა არავის თანხმობას არ დაელოდება... ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად".

რამები. ბუშის თქმით, შეცდომა იმის მტკიცება, რომ ახლო აღმოსავლეთში არსებულ კულტურებსა და რელიგიებთან თავისუფლება და თვითმმართველობის პრინციპი შეუთავსებელია. "მჯერა, რომ ღმერთმა თითოეულ ადამიანს თავისუფლების სურვილი ჩაუნერგა," - აღნიშნა პრეზიდენტმა ბუშმა.

შარშანდელისაგან განსხვავებით, პრეზიდენტის გამოსვლა შიდა პრობლემებზე იყო კონცენტრირებული, რაც ისევე და ისევე მოახლოებული არჩევნებით აიხსნება. ბუშმა სავანგებოდ ისაუბრა სასკოლო სწავლების დონის ამაღლების, პენსიონებისათვის შეღავათიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფისა და იმიგრაციის კანონის რეფორმირების აუცილებლობაზე.

ბუშის განცხადებით, ამერიკის ეკონომიკა სწრაფად იზრდება, რაც, ნაწილობრივ, გადასახადების შემცირებით არის განპირობებული. უმცროსი ბუშისთვის ძალზე მნიშვნელოვანია შიდა პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატების მიღწევა, რათა მამამისის ბედი არ გაიზიაროს. მამა ბუშმა, მართალია, ერასის ომი მოიგო, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური პრობლემების გამო, ხელმოკრე ვადით გაპრე-

ზიდენტმა ველარ შეძლო. პრეზიდენტმა ბუშმა აგრეთვე მხარი დაუჭირა ჰომოსექსუალი წყვილების ქორწინების აკრძალვას, რითაც კონსერვატულად განწყობილი ჯგუფების გული მოიგო. მიმოხილვების აზრით, ჯორჯ ბუში შეეცადა, საზოგადოებისათვის საკუთარი თავი ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის მთავარსარდლის ამპლუაში წარმოედგინა. მისი რეალური მესიჯიც სწორედ ის იყო, რომ ბუშისთვის მხარდაჭერა უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაში ცხოვრების გაგრძელებას ნიშნავს, რომ ომის დროს ლიდერის შეცვლით ხალხი უზარმაზარ რისკზე წავა. რეალურად, ნოემბერში დაგეგმილ არჩევნებში ამერიკელები ორი ფაქტორის - ერასის ოპერაციის წარმატებისა და ეკონომიკის მდგომარეობის - გათვალისწინებით მისცემენ ხმას. თუ ამომრჩეველები ერასის ოპერაციას წარმატებულად და ეკონომიკის მდგომარეობა და მავალითად მიიჩნევენ, მაშინ პრეზიდენტ ბუშს ხელმოკრე ვადით არჩევა გარანტირებული აქვს. ამუშავეს ექსპერტები ბუშისა და მისი დემოკრატი ოპონენტების შეხსენებს 50/50 აფასებენ.



თეატრი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ზაქარია ფალიაშვილი "აბესალომ და ეთერი"
დირიჟორი: თამაზ ჯაფარიძე
დას: 18:00 სთ.

თეატრალური სარდაფი
მაიკლ ფრეინი "ხმაური სცენის მიღმა"
რეჟისორი: ოთარ ევაძე
დას: 20:00 სთ.

კინო

რუსთაველი
"ნემოს ძიებაში" (ქართულ ენაზე)
დას: 14:00; 16:00 სთ.

"ძალიან საშოში კინო 3"
დას: 18:00; 20:00; 22:00 სთ.

ამირანი
"ფრედი ჯეისონის წინააღმდეგ"
დას: 13:30; 18:00; 20:00 სთ.

"რეალური სიყვარული"
დას: 15:30; 22:00 სთ.
ფასი: 5-8 ლარი

გამოფენა

გოეთეს ინსტიტუტი
შტეფან მოზესის ფოტოსურათების რეტროსპექტივა
გახსნა 16:00 საათზე

"შარდენი"
სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევართა გამოფენა

"ქარვასლა"
გეგა ქუთათელაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა III საართული

თანამედროვე ხელოვნების გალერეა
საახალწლო საშობაო გამოფენა "50 ახალგაზრდა მხატვრის საახალწლო სიუპრიზი"

პობი
თენგიზ მირზაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ფიროსმანის მოტივები" II დარბაზი

"საშობაო გამოფენა" I დარბაზი

სურათების ეროვნული გალერეა
"თბილისელი მხატვრები"
I დარბაზი

მაია გამაჯავილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა II დარბაზი

ინაუბურაცია, როგორც ტრილოგიის დასასრული

რა აერთიანებს "ვარდების რევოლუციას", ახალი, 2004 წლის ღამესა და სააკაშვილის საპრეზიდენტო ინაუგურაციას

პირა ნაფარიძე

მოახლოებული უქმეები საქართველოს 2004 წლის კალენდარში ყველაზე განსაკუთრებული დღეებია. 24-25 იანვარი მნიშვნელოვანი თარიღია ქართული კულტურის მოღვაწეებისთვისაც. მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ინაუგურაცია საკმაოდ ფართო და მრავალფეროვან საზოგადოებას გააერთიანებს. ეს იქნება ყველაზე მასშტაბური და განსაკუთრებული ინაუგურაცია მათ შორის, რაც კი ჩვენს რეალობაში არსებულა. ყოველ შემთხვევაში, ასეთია საინაუგურაციო კულტურული პროგრამის ორგანიზატორთა დანაპირები.

ავთო ვარსიმაშვილი, ინაუგურაციის სამხატვრო ხელმძღვანელი, არ არის ერთადერთი თეატრალი, ვისაც ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზება მიანდეს. მის გარდა, ინაუგურაციის გათვალისწინებულ მუშაობენ: რეჟისორი გონა კაპანაძე, მხატვრები - გიორგი ნადირაძე და იური გვეგშიძე. ასე რომ, წესით ინაუგურაციას სანახაობრობა არ უნდა აკლდეს. როგორც თავად გვითხრეს, ორდღიანი ინაუგურაცია ავტორებმა ტრილოგიის ბოლო ნაწილად აღიქვეს. გელაძისა და თბილისის ცენტრალურ ნაწილში გამართული როგორც ინტიმური (გელათში), ისე პომპეზური საერთო-სახალხო ცერემონია (თბილისში), "ვარდების რევოლუციით" დაწყებულ და ახალი წლის ღამის სანახაობებით გაგრძელებულ ერთგვარ ციკლს დაასრულებს. ისე კი, მაინც ვერ გავიგებ, ინაუგურაციის ორგანიზატორებმა მართლა შოუდ აღიქვეს ნოემბრის მოვლენები რუსთაველზე თუ უბრალოდ, სათქმელი კარგად ვერ გადმოგვცეს პრესკონფერენციაზე. გუშინ "შერატონ-მეტეხი პალასში" საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. პროგრამა გავცანეს ორდღიანი ინაუგურაციის კულტურული ღონისძიებების მთავრად დამატარებლებმა. ესენი კი აღმოჩნდნენ: რეჟისორები - ავთო ვარსიმაშვილი (საინაუგურაციო ღონისძიებათა სამხატვრო ხელმძღვანელი) და გონა კაპანაძე; ღონისძიების მუსიკალური პროდუსერი მარინა ბერიძე; კულტურის



ინაუგურაციის კულტურული ნაწილის საორგანიზაციო კვლევა

რის სამინისტროს დროებით მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნინო კობახიძე წარმოადგენდა; ხოლო თბილისის კულტურის საქალაქო სამსახურს მისივე შვიდი - დათო ოქიტაშვილი; ისევე, როგორც უკანასკნელი წლების (განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდის) ყველა "გრანდიოზული", საერთო-სახალხო, მყვირალა პროექტების მნიშვნელოვანი ფიგურა, ზაზა შენგელია ამ პროექტშიც მეტად საჭირო ფუნქციას ასრულებს. ცნობილი "ტელევიზიონშიკი" საინაუგურაციო ღონისძიებათა სატელევიზიო ტრანსლირებას უზრუნველყოფს. ნამყვანი ქართული ტელეარხები ცერემონიალს პირდაპირ ეთერში ხუთი ტელეკომპანიის ტერინკური ბაზის გამოყენებით გადასცემენ; სატელევიზიო მეშვეობით კი ინაუგურაციის ღონისძიებებს საკუთარ ეთერს დაუთმობენ ცნობილი უცხოური ტელეარხები. არ ვიცი შეუძლებელი თუ არა "ბი-ბი-სი-სა" და "სი-ენ-ენს" ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, მაგრამ ქართველი ჟურნალისტებისთვის ყველაზე უსიამოვნო ცნობა მიუღ ამ ყველაფერში სწორედ ის გახდა, რომ ისინი კონცერტს ვერ დაესწრებიან. კოლინ პაუელსა და მის მრავალრიცხოვან დაცვას (ადგილობრივ რჩეულებთან ერთად) კი ნამდვილად გაუმართლათ: ოპერაში დაგეგმილი კონცერტისთვის თბილისში შეიკრიბება უცხოელთა მოღვაწე თორმეტი სახელგანთქმული ხელოვანი (ყოველ შემთხვევაში, ასე გვპირდებიან ორგანიზატორები).

ყველა მათგანი პონორარის გარეშე მონაწილეობს ღონისძიებაში; შელავათიან ფასად მათ თბილისში ჩამოყვანას კი ავსტრიის ავიახაზები უზრუნველყოფს. ამგვარად, ორგანიზატორთა მტკიცება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს ორდღიანი ინაუგურაცია მინიმალური თანხა უზადება, რეალური მეჩვენება. ინაუგურაციის პირველი ნაწილი გელათში შაბათს დაიწყო. როგორც ავთო ვარსიმაშვილმა თქვა, პრეზიდენტის ფიცის დადებას, შესაძლოა, პოლიტიკოსები არ დაესწრონ. გელათში მხოლოდ პრეზიდენტის ოჯახის წევრები და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (სასულიერო პირებთან ერთად) იქნებიან. ამას გარდა, შაბათს საღამოს იმერეთის შემოქმედებითი კომპლექსი ახალი პრეზიდენტის პატივსაცემად კონცერტს გამართავს. მეორე დღეს კი თბილისში, იქ, სადაც რევოლუცია დასრულდა - რუსთაველის გამზირზე გაგრძელდება. დედაქალაქში პროგრამის ოფიციალური ნაწილი დღის სამ საათზე, პარლამენტის შენობის წინ დაიწყება (ამჟამად ამ ტერიტორიაზე დროებითი სცენის კონსტრუქციები ამუშავდა). საღამოს (შუალეღობა ახალი პრეზიდენტი გმირთა მოედანზე აფხაზეთში დაღუპული მებრძოლების მემორიალს ყვავილებით შეამკობს) ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გრანდიოზული კონცერტი გაიმართება. ამ შემთხვევაში ნამდვილად არ იქნება გადაჭარბებული სიტყვა გრანდიოზული, რადგან ოპერის სცენაზე ის ხალხი გამოვა, ვინც კუ-

ლტურულ საქართველოს საზღვარგარეთ წარმოადგენს. საღამოს ცნობილი მსახიობები: ზურაბ ყიფშიძე და მარინა კახიანი გაუძღვებიან; ქართულ ესტრადას იმ საღამოს მხოლოდ ქალბატონი ნანო ბრეგვაძე წარმოადგენს. როგორც ღონისძიების მუსიკალურმა პროდუსერმა მარინა ბერიძემ თქვა, ცალკე საესტრადო კონცერტის დაგეგმვა ფიზიკურად შეუძლებელი გახდა. ამ საკითხზე მსჯელობისას რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი გაცილებით "არაკონცერტული" აღმოჩნდა და საესტრადო მომღერლების იგნორირებას პირდაპირი მიზეზის თქმას არ მოერიდა: "ქართული ესტრადა არ არსებობს". სიტუაცია შეარბილა ზაზა შენგელიამ, რომელმაც გავცახსენა, რომ ახალი წლის ღამეს ქუჩაში ე.წ. "პაპა" დიდი დოზით იყო წარმოდგენილი და ამიტომაც ამჯერად მოამზადეს ის, რაც ხალხს მონატრებული აქვს. მონატრებულთა შორის არიან: ანსამბლები "რუსთაველი" და "სუბიმივილი"; ირმა ნიორაძე, ნინო ანანიავილი, თემურ გუგუშვილი, თამარ ივერი-ჯავახიშვილი, ლექსო თორაძე, პაატა ბურჭულაძე, ალექსანდრე კორნანტია, ლიანა ისაკაძე, მარია გულეგინა, ბადრი მაისურაძე, ნინო სურგულაძე, მარინა იაშვილი; კონცერტში მონაწილეობას მიიღებს თბილისის სიმფონიური ორკესტრი; ვახტანგ კახიძესთან ერთად ორკესტრს უდირიჟორებენ: ზაზა აზმაიფარაშვილი და ალექსანდრე სოტნიკოვი. ინაუგურაციის ბოლო აკორდი კი სუბიმივილების ერთი წლის პროექტი "ასა" იქნება. "შევეცდებით ბოლოს მთელი რესპუბლიკის მოედანი ავაცეკვოთ", - იმედოვნებენ ორგანიზატორები. ცხადია, საიუნაგურაციოდ შეკრებილ ხელოვნათა ასეთი შემაჯავებლობის ხელდასრულება ქართულ მსმენელს არ უნდა. ხოლო, ვინაიდან ოპერაში დაგეგმილ კონცერტზე მათი დასწრება გამორიცხებულია, ამიტომ ინაუგურაციის ორგანიზატორები ფიქრობენ, იმ ვარსიმაშვილის მონაწილეობით, ვინც 25 იანვრის შემდეგ რამდენიმე დღით შეძლებს თბილისში დარჩენას, დაეგმონ მუსიკალური საღამო, რომელსაც ინაუგურაციისადმი მიძღვნილი კონცერტის პირდაპირი სატელევიზიო ტრანსლაციის შემდეგაც, დიდი სიხარულით დაესწრება ქართველი მაყურებელი.

ერთსულოვნება

კულტურის მინისტრს კულტურის სფეროს წარმომადგენლები ირჩევენ

პირა ნაფარიძე

მესამე დღეა საქართველოს მომავალი კულტურის მინისტრის დანიშვნის თემა საზოგადოებაში გამბაფრებული აქტუალურებით განახლდა. განსაკუთრებით კი სახელოვნებო წრეებში. როგორც ჩანს, ქართული კულტურის სფეროში არსებული რეალობა დიდხანს ვერ აიტანს უყურადღებობას (და ვერც უწინამძღოლობას).

ახალი კულტურის მინისტრის ვინაობაზე, სესილი გოგიბერიძის თანამდებობიდან წასვლისთანავე ალაპარაკდნენ. ვისი კანდიდატურა აღარ მიმოიხილა ჩვენმა საზოგადოებამ. ზოგიერთი მინისტრად ისევე დათო მალრატეს აბრუნება (და ამ მოსაზრების სიმართლემ ბევრი ახლაც სეროზულადაა დარწმუნებული); შემდეგ თითქოს ვნებათაუღელვანი ამ თემაზე დამთავრდა, ეტყობა იფიქრეს, ახალ პრეზიდენტად მინისტრს მაინც არავინ დანიშნავდა. მაგრამ, ბოლო დღეებში თემის განახლება ერთმა სრულიად ობიექტურმა მიზეზმა განაპირობა. გახმაურდა იმ რამდენიმე ადამიანის ვინაობა, ვინც სამუელმა (ბურჯანაძე-ფვანია- სააკაშვილი)

საქართველოს კულტურის მინისტრის პოსტზე დაასახელა. საზოგადოებამ მათ შორის ორი პიროვნება - ავთო ვარსიმაშვილისა და ლაშა ბაქრაძის პერსონები ყველაზე რეალურ კანდიდატურებად მიიღო. დღეს რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი აცხადებს, რომ მინისტრის პოსტზე მას მხოლოდ ადგილობრივი პრესა განიხილავს და არა ხელისუფალი. ლაშა ბაქრაძე კი უზრალად უკვირს, რამდენადაც მისთვის ოფიციალურ დონეზე შესაძლო გამინისტრების შესახებ არავის არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, საგარეულო კანდიდატურის დასახელება საკმარისი აღმოჩნდა კულტურის სფეროს მოღვაწეთა გარკვეული ნაწილისთვის, რათა საკუთარი დამოკიდებულება გამოეხატათ და სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით გამომწვეული არჩევანი ფართო საზოგადოების წინაშე გამოეხატათ. ამიტომ, ამ ადამიანებმა შეადგინეს მიმართვა (საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ახლადარჩეული პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის) სახელზე და პრესაში (გაზეთი "რეზონანსი") გამოაქვეყნეს. "საყოველთაოდ ცნობილია, დღეს, კულტურული გლობალიზა-

ციის საუკუნეში რა პრობლემების წინ დგას მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა. ამიტომ, ბუნებრივია, ის განსაკუთრებული მოთხოვნები, რასაც უყენებს ქართულ რეალურ კანდიდატურებად მიღებული ნინაძისა და ლაშა ბაქრაძის პერსონები, რომელსაც უამრავ თანამოაზრესთან ერთად, ღირსეულად შეუძლია ატაროს ეს მძიმე ტვირთი. კულტურის მინისტრის პოსტი მისთვის არ შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობა. ჩვენ მხარს ვუჭერთ ბატონი ლაშა ბაქრაძის საქართველოს კულტურის მინისტრის პოსტზე დანიშვნას და გამოვთქვამთ იმედს, რომ იგი წარმატებულად განახორციელებს მინისტრის საქმიანობას, - წერია მიმართვაში, რომელსაც დღემდე 50-მდე ადამიანმა მოაწერა ხელი. ხელმოწერების შეგროვების ინიციატივი ფოტოხელოვანი ვატო ნერეთელია. "ჩვენ არ გამოვდივართ ცალკეული პიროვნებების წინააღმდეგ. როდესაც ამ თანამდებობაზე ერთ-ერთ კანდიდატურა ლაშა ბაქრაძის გვარი დასახელებს, ვიცი ხალხი, რომელიც ერთმანეთს ულოცავდა. კულტურის სამინისტრო თავის თავში ხელოვნებასა და პოლიტიკას შეიცავს. უბრალო მა-

გალითი რომ მოვიყვანო, აქამდე საქართველოს კულტურის სამინისტრო არასდროს გამოსულა ინიციატივით, მონაწილეობა მიიღოს საქართველოში კენციის ბიენალეზე. როდესაც კულტურის სამინისტროზე ვსაუბრობთ, ჩვენთვის არაა მნიშვნელოვანი დაფინანსება, ამ შემთხვევაში საუბარია უბრალოდ ნაწილი. მათ შორის არიან ასაკოვანი შემოქმედებები (მაგალითად, როგორებიც არიან: ვახუშტი კოტეხიშვილი, ეროლი აბულაძე, ოთარ იოსელიანი), ახალგაზრდა ხელოვნების (ლაშა ბუღაძე, გოგი დოძუაშვილი, გიორგი სუმბაძე და სხვები). არიან მუსიკოსები, მწერლები, გამომცემლები, ხელოვნებათმცოდნეები, ჟურნალისტები, რეჟისორები. რამდენადაც ჩვენი ცნობილია, ხელმძღვრეთა როდენობა ყოველდღე იზრდება. მოახდენს თუ არა რაიმე ზეგავლენას ხელისუფლათა გადაწყვეტილებაზე კულტურის მოღვაწეთა ასეთი ერთსულოვნება, ამას ალბათ პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ გავიგებთ.

სტოუნი თავის მრისხანა

ოლივერ სტოუნი "ალექსანდრეს" გადაღებებს ახლა ტალიანდში აგრძელებს. რეჟისორის ბრძანებით ბანაკოკში უკვე გადასხმულია 20 სპილო და ასობით მსახიობი, მაგრამ სხვა არავინ - სტოუნს გადასაღებ მოედანზე ზედმეტი ხალხის ხეტილი არ სურს. "ეს დახურული ტერიტორიაა. რადგან ვცდილობთ, გადაღებებს ხელი არ შეეშალოს", - აცხადებს პროექტის წარმომადგენელი მაიკლ სინგერი. ასე რომ, ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ფილმის გადაღების პროცესს ვერც ჟურნალისტები ესწრებიან. მეტიც, ყველაფერი ისეა გასაიდუმლოებული, რომ მსახიობებსაც უკრძალავთ ფოტოების გადაღებას. ერთ-ერთმა მსახიობმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარწმუნა ისურვა, "ესოპიეტიდ პრესს" განუცხადა: "გაგაფრთხილეს, თუ ოლივერი კამერით ხელში დაგინახავთ, გაცემს ცხელი მოვა-



ოლივერ სტოუნი



ალავერდი



ვანძი

# "მე ირახვი მივდივარ"

დიდი გაზეთის რედაქტორისა და კარგი მსახიობის ყურნალისტური გარიგება

"უყვდეთ, რა ვინმემ ამ კაცს ლორა ინვარამის წიგნი "ენა გააჩუმე და იმღერე, იქნებ თავის საქმეს მერე მაინც მიხედოს".

"12 ფოტოდან ცხრაზე თვითონ შონ პენი იყო აღბეჭდილი. ანუ, რა გამოდის, წერილი ერაყის თემას ეხებოდა, თუ თვითონ პენს?"

"ვითომ მოეწონება შონ პენს, რომ ვუთხრათ, ერაყში მარტო იმიტომ წახვედი, რომ ორი ახალი ფილმის პრომოუშენი გაგეწიათ?"

"რედაქტორო, ნეტა, შეიძლება, შონ პენმა წელს ორივე მობიოკოს – "ოსკარიც" და პულიტცერის პრიზიც? მისი პოლიტიკის გამზიარებელი დიდად არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მისმა რეპორტაჟებმა სრულიად შეძრა".

"შესანიშნავი მსახიობი, შესანიშნავი მწერალი. გმადლობთ, შონ, ერაყული შთაბეჭდილებები რომ გავიზიარე. შენ ჩვენი ქვეყნის საამაყო წარმომადგენელი ხარ".

"შონ პენის წერილი აუცილებლად ჩაგაფიქრებთ, ბევრ რამეს გაგრძნობინებთ. ჟურნალისტიკაში კი სწორედ ეს ფასობს".



შონ პენი ბაღდადში

აი, ასეთი არაერთგვაროვანი შეფასებები დაიმსახურა შონ პენმა 14, 15 იანვრის "სან ფრანცისკო ქრონიკალში" დაბეჭდილი რეპორტაჟების გამო, რომლებიც მსახიობმა ერაყში 4-დღიანი ვიზიტის შემდეგ დაწერა.

როგორც გახსოვთ, ეს არ ყოფილა პენის პირველი ვიზიტი ბაღდადში. მანამდე ის ერაყის დედაქალაქს 2002 წლის დეკემბერში, ომის დაწყებამდე სამი თვით ადრე სტუმრობდა. მაშინ მსახიობი შექმნილ კრიზისში უკეთ გარკვევას ცდილობდა. უკან დაბრუნებულმა კი ამერიკის მთავრობას მოსთხოვა, უკეთ დაეხმებინა, რომ ომის დაწყება იყო საჭირო.

ასე რომ, შონ პენს თავიდანვე პრინციპული მოსაზრება ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, რაც ერაყში ხდებოდა და ცხადია, ეს განწყობა მის საგაზეთო წერილებშიც გამოიხატა.

რეპორტიორის აკრედიტაცია კი მას ფილ ბრონშტეინმა, "სან ფრანცისკო ქრონიკალის" მთავარმა რედაქტორმა და შერონ სტოუნის მეუღლემ მისცა. თუმცა, სანამ ამ საპასუხისმგებლო დავალებას მიანდობდა, ფილმა შონის უბის ნიგნას გადახედა და დარწმუნდა, რომ პენს წერა შეეძლო. ასე აქცია მსახიობმა ერაყში მიღებული შთაბეჭდილებები ჟურნალისტურ ტექსტად, რომელსაც უფრო დღიურის ფორმა აქვს.

როგორც უკვე ნახეთ, ამ ნაშრომს ეყვება არაერთგვაროვანი რეაქცია მოსაყვამ, თავად ფილ ბრონშტეინი ამგვარი აზრისაა: "ჩვენი მიზანი იყო, რომ შონ პენის წერილებისთვის დღიურის ფორმა შევცვარა ჩუნიბნა. ამით თავიდან ავიცილეთ განცდა, რომ თითქოს, წერილი საგანგებოდ საგარეო პოლიტიკას ანდა ერაყის პოლიტიკურ სიტუაციას ეძღვნებოდა. პენისთვის ახალი დავალება ჯერ არ მიგვიცია, მაგრამ ჩვენი მოლაპარაკება კვლავაც ძალაში რჩება. ის ადგილობრივი ბიჭია, სან ფრანცისკოელი, ჩვენ კი მივგალმობით იმ ფაქტს, რომ ჩვენი მკითხველები გაზეთის საქმიეში აქტიურად მონაწილეობენ".

ახლა კი გადავხედოთ შონ პენის წერილებიდან ნაწყვეტებს და ვნახოთ, მართლაც "ენა გააჩუმოს და იმღეროს" პრინციპს უნდა მისდევოს, თუ არაფერი დაშავდა იმით, რაც მან გააკეთა. მოკლედ, ვნახოთ, რა უკეთ ეხერხება შონ პენს – თამაში თუ წერა.

## ნაწყვეტები შონ პენის დღიურიდან

"მას შემდეგ, რაც ავვისტომი, ბაღდადში, გაეროს შენობა დაბომბეს, გული ერაყისკენ სულ უფრო მეტად მიმინჯდა. მაგრამ ვგრძნობდი, გამიჭირვებდა ოჯახისგან თანხმობის მოპოვება. მე ხომ შინ იმპულსური, ქედმაღალი კაცის რეპუტაცია მაქვს.

ჩემი ცოლი და 12 წლის გოგონა იმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ ერთი ტუჩებში მკოცნის, მეორე ლოყაზე. სხვა მხრივ, ისინი აბსოლუტურად ერთნაირები არიან. და როცა ვაყვანდი, ერაყში დაბრუნებაზე ვფიქრობ-მეთქი, ორივე ქ ერთნაირად დამბრბობდა თვალში და ამოიოხრა. ეს ვიშვიძი მე ასე ვთარგმნე, "ფუ, რა იდიოტია". თუმცა, მერე ჩემმა 10 წლის ბიჭუნამ აიკითხა ნაჩქარევად, "იქ ხომ არ მოგკლავენ?", რაზეც მეც ნაჩქარევად და იდიოტურად მივუვტიე, "შეიძლება ნებისმიერ დროს მოკვდეს კაცი, მაგალითად, ქუჩაზე გადასვლის დროს, ან ელვამ დაარტყას, ანდა სარსი, სარსზე რას იტყვი?" ჩემს საავიჯად შერცხვა... ბოლო-ბოლო მისი თანხმობა მოვიპოვე და უკვე ორი დღის შემდეგ სან ფრანცისკოს საერთაშორისო აეროპორტში ვიჯექი".

"იორდანიამი დამის 2 საათზე ჩავდივართ. ვიზაში ათ დინარს ვიხდები, საბაჟოს გავდივარ და სატარს ვხედე. სპარსეთის ყურის ომამდე სატარი ინჟინერ-მშენებელი იყო და კარგ ხელფასსაც იღებდა. ახლა კი ჟურნალისტებას და პუბლიცისტურად ორგანიზაციების წარმომადგენლებს დაატარებს, ამანამდე გზას 12 საათი უნდა, უკან, ბალდამდეც – 12 საათი და ამ 24 საათიან სახიფათო მგზავრობაში 300 დოლარს იღებს".

"ზაღდადსკენ მივდივართ. ერთსახოვან ერაყულ უდაბნოს შუაზე ვკვეთთ. კარგ ხანს ისე ვმგზავრობთ, რომ აქა-იქ გაფანტული ბედუნების გარდა, კაცის ჭაჭანება არსადაა. და ამის გამო ასეულობითი კილომეტრზე გაჭიმული გზა კიდევ უფრო იწვლება. თუ თვალი არ მატყუვებს, ამ ბედუნებს – მართლმოდ, მოსახსამიან სილუეტებს, რომელთაც ცხვრების ვრცელი ფარა არტყამთ გარს, არც არასათი მიეჩქარებათ და ისინი არც არსადაა მიიღან. გეჩვენება, თითქოს, მათი ერთადერთი მისია ამ ცხოვრებაში ასე ბუტაფორიასავით დგამა, რათა მერე "ნემსლ ვეოგრაფიკის" ფოტოგრაფმა დაინახოს და ფორზე აღბეჭდოს. საით მიჰყავთ ეს ცხვრები ბედუნებს? საიდან მოდიან თვითონ?"

"ჟურნალისტები სამომ სასაფლაოზე საუბრობენ. როგორც კი ამ ტერმინს "სამომ სასაფლაოს" ახსენებდი, ერთი ერაყელი ტელედენტი ხითხითს იწყებს: "მთელი ეს ქვეყანა სამომ სასაფლაო არ არის? ჩვენ ერთ დიდ სამომ სასაფლაოში ვცხოვრობთ". აი, მაშინ კი ისე მწვავედ ვგრძნობ ჩემი მოგზაურობის სიმძიმეს, თითქოს ზურგში გინძი მომხვედროდეს... მერე ლოკინში იშვებები და ხუთსაათიან ქიმიურად გამონეულ კომპი ვიძირები.

დაახლოებით რვა საათზე შორეული აფეთქების ხმა მალვძიებს. თვალებს ვისრეს და თანდათან ვრწმუნდები, რომ აფეთქების ხმები ძილში რომ ჩამესმოდა, ახლაც გძმოდებდა... რას ვიზამ, ბაღდადი... იმასაც ვხედე, რომ ომის რეპორტიორებს რალაც შინაგანი სიმშვიდე აქვთ გამოუშვებულნი. ამ თვისებას მათ მეც ვესწავლი.

"ამერიკელი ჯარისკაცი ისეთი აღარ არის, მეორე მსოფლიო ომის ფილმებიდან რომ გასულიყ. წარმოიდგინეთ უფრო ახალგაზრდები და თან ი-მეილთან კავშირით. ეს აღარ არის გუშინდელი დღის ომი, როცა ნათესავები გემბანზე მდგარ პარტიტველა ბიჭებს ხელს უწევდნენ და მერე ფოსტის მოსვლამდე მათთან ყოველგვარ კონტაქტს კარგავდნენ. ახლა ჯარისკაცებს ინ-

ტერნეტი ყოველდღიურად ახსენებს მშობლიური სახლის კომფორტს და უკან დაბრუნების სურვილს უღვივებს. მიინდა, მათი აზრი გავიგო, ერაყში შეჭრის შესახებ. მაგრამ თან არც ის მაინფიცებდა, რომ ამ ბიჭებმა ომში მეგობრები დაკარგეს, ცოლები, შეგვარებულ-მომადგენლებს დაატარებს, ამანამდე გზას 12 საათი უნდა, უკან, ბალდამდეც – 12 საათი და ამ 24 საათიან სახიფათო მგზავრობაში 300 დოლარს იღებს".

"სასტუმრო "პალესტინას" წინ, ხალხით სავსე ბულვარზე მაგიდები განლაგებული, სადაც ვალუტას ცვლიან... ამ ყველაფერს ნამდვილ შვედურებს, ამ ბედუნებს, რადგან არც ოფიციალური ბაზარი არსებობს. აქ ყველაფერი შავია, კონტროლის, გადასახადის, საიმპორტო ვალდებულებების გარეშე. ვუყურებ რესტორნებს, მაღაზიების ვიტრინებს და ცოტა მიკვირს კიდევ, რომ ომის ფონზე აქ ბიზნესი კეთდება. არა, ეს ბიზნესი ბაღდადის გარეთ კედება, მაგრამ მაინც, ვუყურებ ამ ვიტრინებს და ვხედე, რომ ომიც თვითონ ბიზნესია.

ოდენსაც შარშან გაზაფხულზე ამერიკელები მათ ქვეყანაში შეიჭრნენ, ერაყელებისთვის არც პრო-საომარი და არც ანტი-საომარი მოძრაობა არ არსებობდა. მათი აზრით, ეს უფრო დასავლეთის სალაპარაკო თემა იყო.

ერაყელები მიჩვეულნი არიან ომს; სროლის მუდმივ ხმებს; ერთადერთი, რაც მათთვის ახალია, თავისუფლების გემო გახლავთ. ცოტა მეამაყება კიდევ, რომ შედარების საშუალება მაქვს: როცა ბაღდადში ერთი წლის წინათ ვიყავი, ერთ ერაყელსაც კი არ გამოუხატავს საკუთარი მოსაზრება მიმგინძი იშვებები შესახებ. და ახლა, ერთი წლის თავზე იმდენი მოსაზრება ირევა ერთმანეთში, იმდენი აზრი და განცდა ითხოვს ყურადღებას...

ეს დაპყრობილი ქვეყანაა. ქვეყანა ომში. ერაყელები მუშენებიან, რომ ოკუპაციაში თავისუფლება არ არის, არც ცალმხრივ ინტერვენციამო. ორივე ვხედე, რომ ომის რეპორტიორებს რალაც შინაგანი სიმშვიდე აქვთ გამოუშვებულნი. ამ თვისებას მათ მეც ვესწავლი.

"ამერიკელი ჯარისკაცი ისეთი აღარ არის, მეორე მსოფლიო ომის ფილმებიდან რომ გასულიყ. წარმოიდგინეთ უფრო ახალგაზრდები და თან ი-მეილთან კავშირით. ეს აღარ არის გუშინდელი დღის ომი, როცა ნათესავები გემბანზე მდგარ პარტიტველა ბიჭებს ხელს უწევდნენ და მერე ფოსტის მოსვლამდე მათთან ყოველგვარ კონტაქტს კარგავდნენ. ახლა ჯარისკაცებს ინ-

გარემოს და ვგრძნობ, რომ ჰაერიც კი ეჭვითა და გაურკვევლობის განცდითაა გატენილი. ერთი კაცი მეკითხება: "შენი მთავრობა მოვიდა, რომ გავგათავისუფლოს სადამისგან, თუ ნავთობისგან?"...

გაოცება, რომელიც ომმა მოიტანა, სამხედროებთან ურთიერთობით არ მთავრდება, პირიქით, პრევატიზაციის, ეკონომიკური რეფორმის, კორპორაციების შემოსვლის პროცესი კიდევ უფრო ახვევებს ეჭვს. "თუ ამერიკა ვერ შეასრულებს პირობას ერაყში თავისუფლების დამკვიდრების შესახებ, ჩვენ შეიძლება თვითმკვლელი ტერორისტების მთელი ნაცია შევქმნათ" – მეუბნება ერთი ერაყელი".

"უკან ვბრუნდებით და ვხედავ, როგორ ღვჭვს ოხმივარდენილ, დაკეპილ ცხვრის ხორცს შივა. ჩვენ სამნი ვართ, კერძი კი ორ თევზზეა განაწილებული. პირზე წერხვნი მაიღებდა და დაჟინებით ვუცქერ ხორცს სავსე თევზს, მაგრამ სანამ განძრევა მოვასწრებდი, ჩვენი შენაწილავი მძღოლი ქადრი ენერგიული მოძრაობით ისაკუთრებს ულუფას. გამოდის, რომ დღეს ვახამაზე მხოლოდ ზეთისხილები და ჰუმუსი დარჩება კალიფორნიულ ბიჭს... რას ვიზამ, ტყუობა, მათი რეფლექსები ომმა გაამაფრა.

სირიელი ბიზნესმენების და ირანელი ტურისტების ჩამოსვლა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ერაყის მდგომარეობის ირონიულობას. ირანსაც და სირიასაც ხომ ერთი სული აქვთ სანამ, ერაყელი ნამცხვრიდან თავ-თავიანთ წილ ნაჭერს მიირთმევენ. ფუნდამენტალისტი სირიელები თვითმკვლელი ტერორისტებს ამზადებენ, სირიანში ამერიკელების მიერ გაკონტროლებულ რეჟიმის შეცვლის პროცესს რომ შეუშალონ ხელი; ფუნდამენტალისტ ირანელებს კი სურთ, ერაყის მარიონეტი პოლიტიკოსების საშუალებით მთელ ქვეყანაში თეოკრატია დაამყარონ.

წარმოსახვაში ისევ წწინანი ცხვრის ხორცის სურათი მიტრიალებს. ბინდდება. ინსტიტუტის მტბა-ბინაში გბრუნდებით და ჟურნალისტებით სავსე ოთახში შევდივართ. რატომღაც ეს დარბაზი მოთხილამურეებისთვის განკუთვნილ მოსაცვლელს მაგონებს, არადა ომის რეპორტიორებით კი არის სავსე – კიდევ ერთხელ რომ მშვიდობით მოზრუნდნენ ბაღდადის ხიფათებით სავსე ქუჩებიდან. ისე კი ვასკენი ბაღდადში 1500 ჟურნალისტი მაინც უნდა იყოს და ამ ოთხ დღეში, რაც აქ ვარ, მხოლოდ ერთი დაიჭრა. ე.ი. შინ ცოცხლად დაბრუნების მანსები დიდი მაქვს. ამას ვხედე და ვმშვიდობი. უკვე ბნელა".

პირველი ნაწილის დასასრული.



## პირადი ბიზლიოთაქა დანიელ ჭონქაძე. "სურამის ციხე" (1859)

მალხაზ ხარბელია

როგორც "სურამის ციხის" ერთი პერსონაჟი იტყობა, "ვახსენით ღმერთი და დავინყობ..." და გავაგრძელოთ ჩვენი სვეტიები.

დიდხანს, ძალიან დიდხანს გეგეჩიანურდება ქართველებს საახალწლო დღესასწაულები, ბევრი 25 დეკემბერსვე იწყებს ზეიმს, ამას ახალი წელი მოჰყვება, მერე შობის დღესასწაული მოდის და ბოლოს ისევ ახალი წლის მოლოდინში ჩავეუჯდებით ხოლმე რამდენიმე დღე. ამეების გამო ორი სვეტი ჩამვიარდა კიდევ, ორი ხუთშაბათი გავაცდინე: ერთი 1 იანვარს დაემთხვა, ამ დღეს გაზეთი არ გამოდიოდა, მეორეჯერ კიდევ საშობაო სვეტი გამოშვებას ვერ შევხედე ჩემი ნახალაოროთალი (თანაც ისევ რომელიმე საშობაო რომანზე თუ მოთხრობაზე მინდოდა დამეწერა). არადა, სექტემბრის მერე ნომერი არ ჩამივგდა, ყოველი ხუთშაბათისთვის ვპოულობდნენ ნანარმობა, ახლა კი ვზივარ და ვცილობ მარშანდელი სუნთქვა ავლდვინო, ჩვეულ რიტმს დავუბრუნო ჩემი კალამ-კლავიატურა.

მამ ასე, ორი კვირის მანძილზე ბევრი რამ აღვნიშნეთ ქართველებმა, მაგრამ მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ გასული წლის ბოლოს, გოჭსა და ინდაურს, თეთრსა და წითელ დვინოს, ისპანახსა და ეკალას, ანდა სულაც ჯონჯოლსა და ნივრის წილს შორის გაკეთებული არჩევანი უფრო მნიშვნელოვანი, საბრზიდენტო არჩევანით დავაგვირგვინეთ ახალი წლის პირველ დღეებში. მერე კიდევ, არჩევნების პანმელიაზე ისიც გამოგვიცხადეს, ახალი პრეზიდენტი ახალ რეზიდენციაში იცხოვრებსო, იმ შენობაში, სადაც ადრე პოლიციაც მდგარა, ჟანდარმეროცა და მეციხოვნეებიცო; ერთმა ისიც კი თქვა (თან ადგილზე ანიშნებდა), აგერ აქ, სიკვდილით სჯიდნენ ხოლმეო. ჰოდა ამიტომაც, ავდექი და, ამ თეთრი ციხე-სიმაგრის ავესულთა დასაფრთხობად დანიელ ჭონქაძის გენიალურ მოთხრობასა და იმ "უმანკო ტრედზე", ზურაბზე წერას შევუდექი, სურამის ციხის შენებას რომ შესწირეს.

ავტორი მოთხრობას თავის ამხანაგებს მიუძღვნის და დასაწყისშივე შევგასტენებს მათთან (ამ ამხანაგებთან) ერთად დადებულ პირობას, რომელიც "ამ ზაფხულის იმ საშინელ სიცხეში", საღამოს, რიყეზე, ანჩისხატის ჩასწრე შეერასა და იქ გვიანამდე დროსტარებას გულისხმობდა. ქვივის გარდა, პირობაში ყმანელებს ერთი მუხბლაც ჰქონდათ, რომლის ძალითაც, "მორიგე პირს" რაიმე ამბავი უნდა მოეთხრო საქართველოს ცხოვრებიდან. ამბებს შუა ყმანელები კახურ ღვინოს მიირთმევდნენ და ალქსანდრე ჭავჭავაძის ლექსებით ირთობდნენ თავს, შემდეგ კი ერთმანეთს შეახსენებდნენ: "ხო ვახსოვს ჯარიომა! ის ყანნი ისევ ცოცხალია" -ო.

მეც ამ საჯარო ყანნისა მემშინია და ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ. ეს მოთხრობა პატარაა, მაგრამ იმ სოფელსა ჰგავს, დიდი რო ჩანს თავისი ვენახებით. ასევე, "სურამის ციხის ვენახებიც" უზამამაზარ სიერცეს მოიცავს, თხრობის ხელოვნებით დაწყებული - ხასიათებითა და დეტალებით დამთავრებული.

ეს ამბავი მზურვალე სიყვარულით იწყება. გულისვარდასა და დურმიშხანს, "თავიანთი ბატონების ყმებს", ერთმანეთი ისე შეუყვარდებთა, "როგორც აღმოსავლეთში მცხოვრებთ შეუძლიათ სიყვარული", თუმცა დასაწყისშივე ყველაფერი გულაღმა გადაბრუნდება, მათ ვერც ყმობისგან გათავისუფლება უშველით, რადგან დურმიშხანი უნდა ნავიდეს, "იმუშაკოს", ფული იიზოვოს, გამდინდეს და ისე დაუბრუნდეს ვარდოს. განმორღვისას ვარდო მუშბლზე კოცნის თავის გულისწინა და ყველაზე მძაფრად სწორედ აქ გაისმის პირველად ავტორის განუყოფელი ხმა: "აკოცე, ტკბილად აკოცე სანკალა გულისვარდო, გახავრე გ ლაპარაკი, ეგ არის უკანასკნელი შენი ბედნიერების საათი, ამის შემდეგ შენი პირიდან აღარ ამოვა სიტყვა სიყვარულისა" -ო.

ესეთი ჩართვები (ანუ როგორც ლიტერატურათმცოდნეები იტყვიან, პროფესიონალი, წინსწრეობი) ხშირად შეგვხვდებიან და მათ სავალდებულო "შელოცვებით" დაავიჯვრებენს ხოლმე ავტორი: "მაგრამ რად უნდა ნავიბრებო ნინე...", "ზაღე ვნახავო..." და სხვ.

მამ ასე, დურმიშხანი გზას დაადგება, მიდის და მოლაპარაკობს, გულში ამბობს, ნატრობს, იქნებ ვინმემ მოვამაგებდე მაინც დამაიყვინოსო, ცხენისა და იარაღის გაყიდვასაც აპირებს, რათა ამისგან ამონაგები ფულით საერთოდ უქანი გახსნას. ამ ფიქრებში ვართული, ოსმან-ალას გადაეყრება და რომანში კიდევ ერთი მოთხრობა შემოდის. მემდგომ თავი მთლიანად მას ეძღვნება და ცოტა ხნით ძირითადი, სეველიანი ამბის ვარაყიან ჩარჩოში ჩასმული, ოსმან-ალას მონათხრობი გავგიტაცებს მკითხველს. ეს ორი ამბავი მალე ერთმანეთს გადაეჯაჭვება, დიდგაზრო ოსმან-ალას და დურმიშხანისა, რადგან თხრობას დაასრულებს თუ არა, გამაჰმადიანებული არაგველი თავისთან ნაიყვანს დურმიშხან ნამალაქეს, საქმეში ვარვებს, ორ წელიწადში სურამელ გოგოსაც შეართვევინებს ცოლად და მალე მათ ბიჭიც გაუწინდებათ, ზურაბი. დურმიშხანი კი წერილს მოიწერება თავის ყოფილ ქაბატონთან: "ბარემ მინდაო, რო ვარდოზე დამეწერა ჯვარი, მაგრამ ალბათ ღვინის ნება არ იყო. ახლა ჩემ მაგიერ ვარდოს უთხარით, რო კარგი კაცი ითხოვოს და რაც უნდა ჩემგან მოითხოვოს" -ო.

ამის მერე იწყება დამბართ. ჯერ ოსმან-ალას მოკლავენ; საბრლო თავისი ქონების ნახევარს დურმიშხანს მისცემს, ნახევარს ეკლესიას შესწირავს და პატრიარქის დალოცვით "ცხადად აღიარებს" ქრისტეს, რის გამოც დაილუშება კიდევ ოსმალთა ხელადა, მას შუაზე გაჭრიან და სტამბოლის ქუჩებში დააგდებენ სათრეველად. დურმიშხანი კი "არ პფიქრობდა არც ერთსა ღონისძიებას იმის შევილსთვის და შემდგომ სიკვდილისა იმტენი ვერ შეიძლო, რო გამოეშინება სტამბოლის მართლმადიდებლისთვის იმის დამბრუნების ნება". **მერე კიდევ...** ვარდოც იხომ უნდა ვთქვათ?!

ვარდომ შურისძიება გადაწყვიტა, მკითხაბა შეისწავლა და ამ გადაწყვეტილებით ქვეყანას გაეყარა, ფუნდანი გახდა. "ამის უკან" ყველა უფურცლად მას "არათუ როგორც ადამიანსა, არამედ როგორც რასმე კაცსა და ეშმაკს შუა", და შეტყუ ვარდომ ბევრი რამ, რომელიც "შესარცხვენილი იყო კაცთა ჩამომავლობისთვის" და პირველი ტყუილიც მაშინ თქვა ("აქამდე არ ეთქვა განზრახვით ტყუილი"). ვარდო გულისვარდი აღარ იყო, არამედ აველბრელი ვარდო.

მკითხავთან რომ შედიოდა პირველად, ერთი პირობა კი მიიძახა ავტორმა ვარდოს, "ნუ შეხვალ საბრლო გულისვარდო, დაინერე პირჯვარი, ახსენე დმერთი, შეავფრთხე ეშმაკს და გაბრუნდი უკან!" -ო, მაგრამ გულისვარდს ეგეთები უკვე აღარ ესმოდა.

მოთხრობის ბოლომდე ავტორი 10 წელიწადს გაიყვანს, ბევრი მოქმედი პირი დაიხოცება კიდევ და დასტოვებს მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელიც "თავნი პირნი" არიან - დურმიშხანს თავისი ცოლ-შვილით და ვარდოს, თავისი ვანთქმული მკითხაობით. ბოლოსწინა თავის დასასრული კი გვეტყვის: "დარჩნენ ისე, როგორც ორი ველავანი შუა მდინაზე, მომზადებული დასაჭიდავად. ვნახათ ვინ ვის მოერევა". და ჩვენც ვნახეთ... ვნახეთ გულისვარდის "აქტიორობა", ცრემლებს რო ყრდა თავისი განაჩენის გამოტანისას... ვნახეთ ჯარისკაცის დაღონება, მუხლადამ ამოშენებული ზურაბის დედას რომ არწმუნებდა, არ მოჰკლავდა, შენი შვილი გულადობაში უნდა გამოსცადონ... გავიგონეთ დედა-შვილის ძახილი... მამის გოდებაც მოგვესმა... და რაც მთავარია, დავინახეთ ტახტზე მინოლილი უსული ვარდო და დურმიშხანი, როგორც ორი სავეროლო, ერთმანეთს მოხვეუდნენ...

ბოლოს კი ეს პატარა ლექსიც დავიზეპირეთ:

**სურამისა ციხე, გულითა ვნახე, ჩემი ზურაბ მანდ არის, კარგა შემიძახე!**

შეინახა კიდევ, შეინახა ახალგაზრდა კაცმა, ვისაც ზოგი "თბილისის ღვთისმეტყველს" უწოდებდა, ზოგი კი კუკიის ხიდიდან გადადებებს უპირებდა ასეთი "თამანი ზღაპრის" გამო. ეს ახალგაზრდა კაცი 30 წლისა გარდაიცვალა და იგი პირველი იყო, ვინც "მერხევი და საამო ქართული" (ლ. არდაზიანი) დაწერილი მოთხრობა დავგიტოვა.

**ფეხბურთი**

# "დინამო" ოთხეულშია

## მიხილ აბიგვილი

მოსკოვში მიმდინარე თანამეგობრობის თასის ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. გუშინ გაიმართა ოთხივე მეთხედფინალური მატჩი და გაირკვა ნახევარფინალისტთა ვინაობა.

ქვეჯგუფში პირველი ადგილის დაკავებამ საქართველოს ჩემპიონს დროებით ააცილა რუსეთის ჩემპიონთან, ცსკა-სთან დაპირისპირება და პლეი-ოფის პირველ, მეთხედფინალურ ეტაპზე მეტოქედ ბელორუსის "გომელი" არგუნა. ერთი შეხედვით, არც ეს გუნდი უნდა ყოფილიყო იოლად დასაძლევნი.

ბელორუსში ფეხბურთი საკმაოდ მაღალ დონეზეა და ამ ქვეყნის ჩემპიონი, რომლის რიგებშიც ეროვნული ნაკრების 4 ფეხბურთელი თამაშობს, მოსკოვში სერიოზული ამბიციით ჩავიდა.

თუმცა, ყირგიზეთისა და ყაზახეთის ჩემპიონთა დარად, ვერც ბელორუსის ჩემპიონი გამოდგა "დინამოს" ფარდ მტოქე, რაც მატჩის პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა. ამ შეხვედრაში გავიდა მთელი ტურნირის ფერფერობით ყველაზე სწრაფი გოლი: რატი ალექსიძემ ისარგებლა "გომელის" მცველთა შეუთანხმებელი მოქმედებით და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. არ გასულა 6 წუთი და "დი-

ნამოს" მეორე თავდამსხმელმაც, ლევან მელქაძემაც გამოიჩინა თავი. მატჩის დებიუტშივე 2-ბურთიანი უპირატესობის მოპოვება, მთელი საქმის გაკეთება თუ არა, საქმის ნახევრად მოთავება ნამდვილად იყო. "დინამომაც" ძალებს დაზოგვის ტაქტიკას მიმართა და მხოლოდ მას შემდეგ გააქტიურდა, რაც ბელორუსმა ფეხბურთელებმა 32-ე წუთზე პენალტის შესრულების უფლება მოიპოვეს, რაც უსამოვებო გოლად აქცია. "გომელის" კომპაგების სიხარულმა და მატჩის გადარჩენასთან დაკავშირებულმა იმედობა სულ 3 წუთს გასტანა: 35-ე წუთზე შამაშვილი ჩაერთო შეტევებში და ალექსიძის მიერ დარტყმულ

ბურთს მიზანი გაუსწორა. მატჩის მეორე ნახევარმაც "დინამოს" სრული უპირატესობით ჩაიარა. ქართველ ფეხბურთელებს მყარად ეპყრათ ხელთ მართვის სადავეები და, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარფინალისთვის აშკარად ძალებს ზოგავდნენ, მეტოქესთან შედარებით, გაცილებით მეტ საგოლე მომენტზე შეძლეს დაარსდნამ ლამაზი გოლი გაიტანა. ეს მოხდა 71-ე წუთზე, რითაც დარჩენილი დრო უზარალო ფორმალბად იქცა. აზრი არა აქვს იმ მომენტების აღწერას, რომელთა გამოყენების შემთხვევაში, იმ ფორმალურ წუთებში ანგარიში საფეხბურთო საზოგადოებ

ასტრონომიულ ხასიათს შეიძენდა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ დინამომ ვეცდებოდა, კერძოდ, დარასელიამ, თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა - ბურთი კარს ააცილა.

იყო შუშაკი: "ჩემმა გუნდმა ღირსული გამარჯვება მოიპოვა. ანგარიშიდან გამომდინარე, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ "დინამოს" სუსტი მეტოქე ჰყავდა. მაგრამ ეს ნამდვილად არ არის ასე. "გომელი" ბელორუსის ჩემპიონია და მის რიგებში ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობს.

მატჩის წინ საკადრო პრობლემებიც გვექონდა - ყვითელი ბარათების გამო წამყვანი ნახევარმც-

ველი, ალექსანდრე გოგობერიშვილი გამოგვაკლდა. მიხარია, რომ ამან გავლენა ვერ მოახდინა ჩემს გუნდზე, რომელმაც ზუსტად ისეთი თამაში აჩვენა, როგორც მათემატიკის მოსწრის - ლალი, სანახაობრივი და უხეგოლიანი. ვეცდებით, ჩვენი შესაძლებლობები ნახევარფინალშიც მაქსიმალურად გამოავლინოთ."

მეთხედფინალური მატჩი "დინამომ" ასეთი შემაძგვენლობით ჩაატარა: გვარამაძე, ახალაია (ჩიტაია, 63'), კანდელაკი, შამაშვილი, კვიციანი, კარლოსი (ხმალი, ვევი, 71'), ანჩაბაძე, ბურდული, დარასელია, ალექსიძე, მელქაძე (ახაბაძე, 52').

# რობერტო კარლოსი: "მე აღარც შვილები მყავს და აღარც მშობლები"

რობერტო კარლოსი მხიარული ადამიანია. ის სულ კარგ გუნებაზეა და ხუმრობს. თუმცა, პრობლემები მასაც ჰქონია. კარლოსს რთული პერიოდი უდგას. თუ რატომ, ამას ინტერვიოდან შეიტყობთ.

**- "რეალის" თამაშს რომ უყურებ, გეგონება, გუნდი ისევ არდადეგებზეაო. რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ კარლოს კეირუმის მისამართით გამოთქმული კრიტიკა?**

- ბოლოს ყველას მოუწევს საკუთარი სიტყვების უკან წაღება და ყველა მის ქებას დაინყებს. "რეალს" აქვს უფლება, რომელიმე მატჩი წააგოს, თუმცა, ბოლოს ის მაინც მოიგებს რამეს. მთავარია, ჩვენ შევძლოთ კრიტიკის გაძლება, მიუხედავად იმისა, სამართლიანია თუ არა ეს. ფობს, ის ხალხი, ვინც ჩვენ გვაკრიტიკებს, გუნდის ვარჯიშზე მოვიდეს, ნახოს, რა კარგად ვთამაშობთ, რა კარგი ატმოსფეროა გუნდში. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ კრიზისიც დასრულდება. ჩვენც ხომ ადამიანები ვართ, წარუმატებლობა ჩვენც გვაქვს ხოლმე.

**- გასახდელშიც იგრძნობა, რომ გუნდი წლეულს ტიტულებს მოიგებს?**

- ცხადია. ჩვენ ყოველ წელიწადს ვიგებთ ნოვაცას. და ყოველ წელიწადს ორთვიან კრიტიკას უკან ვუბრუნებთ ჩვენს კრიტიკოსებს. **- რონალდო მართლა განსაკუთრებულია?** - ეს არც არის გასაკვირი. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მე მას ვიცივარ, ის ბრწყინვალედ თამაშობდა უამრავი გოლი გააქვს. რონალდო, ისევე როგორც რონალდინო, შესანიშნავად ფლობს ბურთს. რონალდისთან ჩვენ, ყველას, შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. **- შესაძლოა, "რეალმა" ტიერი**

**ანრი შეიძინოს. როგორ ფიქრობთ, წაადგება გუნდს?**

- ეს ძალიან კარგი იქნება. ვიცი, რომ პრეზიდენტს სურს, ის "რეალში" იხილოს. დარწმუნებული ვარ, ანრი კარგად შეეწყობა ჩვენს გუნდს. **- აუცილებლად მიგაჩნიათ ცენტრალური მცველის დამატება?** - "რეალმა" თავისი საუკეთესო მცველები დაკარგა. ვფიქრობ, ერთადერთი, ვინც ჩვენ წავაგადგებოდა, აიალაა. ის იდეალური ვარიანტია ჩვენთვის. აიალა ნომერ პირველი მცველია უცხოელებს შორის. იყო საუბარი გამარაზე, მილიტოზე, მაგრამ აიალა მაინც ყველას სჯობს.

**- თქვენზე რას იტყვით?**

- თავს უწინდელივით კარგად ვერ ვგრძნობ. რამდენიმე ხნის წინათ მიღებულმა ტრავმამ დიდი პრობლემები შემიქმნა. ადრე თითქმის არასოდეს მქონია ტრავმები, ამიტომ ეს ტრავმა ძალიან მძიმედ გადავიტანე. მე არ მიეკუთვნები იმ კატეგორიას, რომელსაც საკუთარ თავზე მაღლა ახტომა შეუძლია. მე ჩემს რიტმში ვთამაშობ, ჩემი სტილი მაქვს, მინდა, ისევე კარგად ვითამაშო.

**- ეტყობა, ამ ტრავმის დავიწყება იოლი არ არის...**

- მართალია ბრძანდებით, მაგრამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში არცთუ ისე სასიამოვნო პერიოდი მქონდა. როცა ტვინი არეული გაქვს, ძნელია, ორგანიზმი აიძულო, კარგად იმუშაოს. ახლა მთავარია, გულშემატკივრებმა იცოდნენ: ჩემი პრობლემები წელ-წელა მთავრდება



რობერტო კარლოსს ოჯახი ენატრება.

და ახლა უკეთესად ვარ.

**- ღიზიანდებით, რომ ყვითელი პრესის სამიზნე ხართ?**

- ცოლთან დამორების შემდეგ პაპარაცები განუწყვეტლივ მითვალთვლებენ. ეს ძალიან საშხხარია, ამას ვერ ვეუფლები. მე ვიხივ მათ, თავი დააბრუნე ჩემს დევნას, რადგან მე მხოლოდ ფეხბურთით არ ვცხოვრობ. მათ პატივი უნდა სცენ ჩემს პირად ცხოვრებას. უფრნალისტები წერენ, რომ სადღაც დევნიდნენ, ესვამ, ცოლთან განშორების შემდეგ თავს

დაკარგულად ვგრძნობ. ეს ტყუილია.

**- ხელს გიშლით ის ფაქტი, რომ თქვენი კონტრაქტის გაგრძელებაზე ახდენს ლაპარაკები?**

- არა. მე უკვე ვთქვი, რომ მასამდე არავითარ კონტრაქტს არ მოვაწერებ.

**- რატომ გინდათ, რომ მოლაპარაკებები მხოლოდ ფლორენციო პერესთან ანარმოთ და არა ვალდნოსთან?**

- იმისთვის, რომ პრეზიდენტს მოველაპარაკო, მანამდე ვალდნოს

უნდა შევხვედე. ასე რომ... სწორედ ამისთვის არის აქ ვალდნო. მასთან არასოდეს მქონია პრობლემები. ჯერ ვალდნოს დაველაპარაკები, შემდეგ კი - პრეზიდენტს.

**- გინდათ, რომ კლუბმა უკეთესი პირობები შემოგთავაზოთ?**

- ამას პრეზიდენტი გადაწყვეტს. კლუბისთვის სარგებელი მხოლოდ რობერტო კარლოსს არ მოაქვს. კლუბმაც ხომ ბევრი არ მოიმტო. კლუბიდან ისე წავალ, როგორც მოვედი: ღიმილით და თავანუელი.

# "სკუდეტო", ევროპის ჩემპიონატი და კორნინება

რა გეგმები აქვს ფრანჩესკო ტოტის 2004 წელს

## ინოვაციური

რომი, 2004 წლის 20 იანვარი. ფრანჩესკო ტოტი ღირსეული სახით დგას ტელეკამერების წინ და TG 1-ის ეთერით მთელ იტალიას თავის სამომავლო გეგმებზე ელაპარაკება. "რომას" კაპიტანი ბედს ნამდვილად არ უჩივის. მისი გუნდი სერია ა-ს ლიდერის ამპლუაში დაემყვინდობა 2003 წელს და, იმის მიუხედავად, რომ 2004 წლის პირველივე მატჩი წააგო "მილანთან", მაინც ჩემპიონატის ლიდერი დარჩა. სამი ქულა, მხოლოდ სამი ქულა ამორებს "რომას" უახლოესი მდევრისგან. რომაელთა ყველაზე იდი მტერი და სახიფათო მეტოქე გახლავთ სწორედ "მილანი", რომელმაც მიმდინარე წელს უკვე ორჯერ მოუგო ფაბიო კაპელოს გუნდს - სერია ა-ში და იტალიის თასზე. მოკლედ, მილანელებმა ძალიან დაჩაგრეს რომაელები, მაგრამ ტოტი რისი ტოტი იქნება, ბერლუსკონის გუნდის უპირატესობა რომ აღიაროს. რა თქმა უნდა, რომაელთა კერძი მტკიცეა და დარწმუნებული, რომ მათ ვერაფერს დაეწევა - ვერც "მილანი", ვერც "იუვენტუსი", მით უმეტეს, ვერც კრიზისში მყოფი "ინტერი" და სეზონის ბოლოს გამარჯვებული გუნდის ბედნიერი კაპიტანი კიდევ ერთხელ აღმართავს საოცნებო თასს. 2004 წლისგან "რომას" კაპიტანი ბევრს ელოდება. ეს წელი ტოტისთვის ბედნიერების მომტანი უნდა გახდეს როგორც კარიერაში, ისე პირად ცხოვრებაში. "ნამდვილ რომაელს" (როგორც ტოტი უწოდებს საკუთარ თავს), რა თქმა უნდა, პირველ რიგში "სკუდეტოს" მოგება უნდა: "გასულ წელს "რომა" სამინუელ ფორმში იყო. უარესის წარმოდგენა შეუძლებელიც კი იქნებოდა. მიმდინარე სეზონში ყველაფერი შეიცვალა. სამი-ოთხი ისეთი მაღალი დონის ფეხბურთელი შემოგვება, რომ უპრობლემოდ მოვიპოვე-



ფრანჩესკო ტოტი.

ეთ პირველი ადგილი ჩემპიონატში. ძველი შემაძგვენლობის ფეხბურთელებიც გამოცოცხლდნენ და თანხმდნენ. მილანის ამპლუაში დაემყვინდობა 2003 წელს და, იმის მიუხედავად, რომ 2004 წლის პირველივე მატჩი წააგო "მილანთან", მაინც ჩემპიონატის ლიდერი დარჩა. სამი ქულა, მხოლოდ სამი ქულა ამორებს "რომას" უახლოესი მდევრისგან. რომაელთა ყველაზე იდი მტერი და სახიფათო მეტოქე გახლავთ სწორედ "მილანი", რომელმაც მიმდინარე წელს უკვე ორჯერ მოუგო ფაბიო კაპელოს გუნდს - სერია ა-ში და იტალიის თასზე. მოკლედ, მილანელებმა ძალიან დაჩაგრეს რომაელები, მაგრამ ტოტი რისი ტოტი იქნება, ბერლუსკონის გუნდის უპირატესობა რომ აღიაროს. რა თქმა უნდა, რომაელთა კერძი მტკიცეა და დარწმუნებული, რომ მათ ვერაფერს დაეწევა - ვერც "მილანი", ვერც "იუვენტუსი", მით უმეტეს, ვერც კრიზისში მყოფი "ინტერი" და სეზონის ბოლოს გამარჯვებული გუნდის ბედნიერი კაპიტანი კიდევ ერთხელ აღმართავს საოცნებო თასს. 2004 წლისგან "რომას" კაპიტანი ბევრს ელოდება. ეს წელი ტოტისთვის ბედნიერების მომტანი უნდა გახდეს როგორც კარიერაში, ისე პირად ცხოვრებაში. "ნამდვილ რომაელს" (როგორც ტოტი უწოდებს საკუთარ თავს), რა თქმა უნდა, პირველ რიგში "სკუდეტოს" მოგება უნდა: "გასულ წელს "რომა" სამინუელ ფორმში იყო. უარესის წარმოდგენა შეუძლებელიც კი იქნებოდა. მიმდინარე სეზონში ყველაფერი შეიცვალა. სამი-ოთხი ისეთი მაღალი დონის ფეხბურთელი შემოგვება, რომ უპრობლემოდ მოვიპოვე-

ვინა "ინტერიდან". სატელევიზიო ინტერვიუში ტოტიმ გვერდ ვერ აუარა ამ აქტუალურ თემას. გასულ წელს ტოტის და კასანოსაც პრობლემები შეექმნათ "რომას" პრეზიდენტ ფრანკო სენსისთან. მაშინ ფეხბურთელები შედგნენ მოუხდებლად, ცოტა ფული გაიშედა და ახალი ფეხბურთელები იყიდნენ. სენსი კი გაბრაზდა, როგორ თუ ჰქვას მარიგებერი, მაგრამ კლუბის დატოვება არც უფიქრია. "ფეხბურთის სამყაროს აუცილებლად სჭირდება მორატის მსგავსი ადამიანები. მართალია, "ინტერი" ცუდად თამაშობდა და ამით ტოფოზების უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ეს მაინც არ უნდა გამხდარიყო პრეზიდენტის ნასვლის მიზეზი. იმედია, მორატის იცე დაუბრუნდება "ინტერს". კლუბისთვის ის ძალიან საჭირო ადამიანია, - მიაჩნია ტოტის. მორატის რომ ასეთი ქება შეასხა, რაღა თქმა უნდა, თავისი გუნდის ხელმძღვანელზე ცუდად ვუდარდნენ. კონფლიქტი გუნდის ჭირვეულ ვარსკვლავ კრისტინა ვიერისთან... ჰოდა, მორატისაც მიზეზურად ამდენი ნერვიულობა და საერთოდ წა-

"რომას" ფანების სახედნიეროდ, ყველაფერი სწრაფად მოგვარდა. "აუცილებელია, გუნდში იყოს კაპიტანისაირი დინჯი და გონიერი პიროვნება. ის გვიწვავს საკუთარი თავის რწმენას, გვასწავლობს, როგორ შევინარჩუნოთ სიმშვიდე, როგორ დავგვინდოთ ტექნიკა. ახალგაზრდების განვითარებისთვის კაპიტანობა უკეთეს ვერავის ინატრებ. ჩვენ მას პატივს ვცემთ და ისიც ამითვე გვაპასუხობს. მან მე ბევრი მომცა და ახლა, როცა პაპა გახდა, უკეთეს აღმზრდელად იქცა", - ასე აუხსნა სიყვარული ტოტიმ "რომას" გამჭრიახ სტრატეგს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ პირადი ცხოვრება? მთელი რომი ხომ ტოტის და ილარი ბლაზის ქორწინების მოლოდინშია? "რომას" ტოფოზებმა, როგორც იქნა, შეიყვარეს ილარი. როცა ტოტი ამ მომხიბვლელ გოგონას დაუკავშირდა, "რომას" გულშემატკივრები უკმაყოფილონი დარჩნენ. ყველას ეგონა, რომ ილარი გატაცება ტოტის სათამაშო კლასზე უარყოფითად იმოქმედებდა. ილარის აბრალებდნენ, "რომასთვის" უბედურება მოაქცია. როცა პაპა გახდა, უკეთეს აღმზრდელად იქცა", - ასე აუხსნა სიყვარული ტოტიმ "რომას" გამჭრიახ სტრატეგს.

## მოკლედ

**ფეხბურთი.** ლორე სანჩესი ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. ინგლისური "უიმბლდონის" ყოფილი ფეხბურთელი 80-ან წლებში სამჯერ გახდა ჩრდილოეთ ირლანდიის საუკეთესო მოთამაშე. "მე ამაყი ვარ იმით, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მწვრთნელობის პატივი მერგო", - განაცხადა 44 წლის სანჩესმა.

**ფეხბურთი.** ცოტა ხნის წინათ საფრანგეთის ნაკრების მეკარე, ფაბიენ ბარტეზი იჯარის წესით "მარსელში" გაანათხოვრეს. ფეხბურთელი ახლაც "მანჩესტერ იუნაიტედის" საკუთრებაა, თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის ინგლისში დაბრუნდება. ბარტეზმა განაცხადა, რომ "მარსელი" ძალიან მოსწონს და კარიერის დასრულებას სწორედ ამ კლუბში აპირებს.

**ფეხბურთი.** კიევის "დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, იგორ ბელანოვი შეიცვარის კლუბ "ვილის" პრეზიდენტად აირჩიეს. საქმე ის არის, რომ ბელანოვი ამ კლუბის მენეჯერზეც გახლავთ. "ვილის" აქციონერთა უკანასკნელ სხდომაზე კი ის პრეზიდენტიც გახდა.

**ფეხბურთი.** ჩილეს სამოყვარულო კლუბ "ბანდერას" თავდამსხმელი ელ რულო საფეხბურთო მოედანზე დაჭრეს. "გონსალინას" წინააღმდეგ მატჩში რულომ უკანასკნელ წუთზე გაიტანა გოლი, თუმცა, მისი ზეიმი დიდხანს არ გაგრძელდებოდა. მონიშნულდ გუნდის ერთ-ერთმა ფეხბურთელმა მაისონის ქვეშ დამალული პიტოლეტი ამოიღო და რულოს სამჯერ ესროლა. ამის შემდეგ დამანაშავე მიიძინა. პოლიციის განცხადებით, დამანაშავის ვინაობა დადგენილია და მას მალე იპოვიან.

**ფეხბურთი.** ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მცველი, 38 წლის ალდარი, რომელიც წლების განმავლობაში იცავდა "რომას" ღირსებას, მიმდინარე სეზონის დაწყებიდან სერია ბ-ს ბინადარ "რეჯინაში" გადავიდა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ალდარი "რეჯინაზანაც" წავიდა. კლუბის ის პირადი მიზეზით დაემშვიდობა.

**ფეხბურთი.** ესპანეთის ჩემპიონატის აუტსაიდერმა "მურსიამ" მწვრთნელი შეცვალა. ხოაკინ პერას ნაცვლად, მწვრთნელის თანამდებობას ამიერდინ სახელგანთქმული ჯონ ტოშაკი დაიკავებს. 54 წლის უელსელი, რომელიც სხვადასხვა დროს "რეალს", "დეპორტივოსა" და "რეალ სოსიედადს" ხელმძღვანელობდა, უკანასკნელად იტალიის სერია ბ-ს კლუბის, "კატინას" მწვრთნელი გახლდათ. ტოსაკის ამოცანა "მურსიას" გასაგარდნი ზონიდან ამოყვანა იქნება.

**ფორმულა 1.** "ფერარის" სპორტულმა დირექტორმა ჟან ტოდტმა განაცხადა, რომ საჯინოს ახალი ბოლდო ბევრს გააკვირვებს თავისი შესახედაობით. "ვფიქრობ, ჩვენი ახალი ბოლდის ცხვირი ბევრს გააკვირვებს. იმედი მაქვს, ბევრ წარმატებას მივალწვეთ ახალ "ფერარისთან" ერთად, რომელსაც 26 იანვარს მარანელში წარვადგენთ", - განაცხადა ტოდტმა.

**კრიკი.** "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, რინგზე მიღებული ტრავმის გამო ვარდაცივლა 20 წლის ინდონეზიელი მოკრივე ანტონიუს მოუსს სირამი. მოკრივეს სასიცოცხლო ტრავმა მიიღო 13 იანვარს, ტილანდელ კაიონ სორ ვორაბინთან მატჩში. ბრძოლა შეწყდა მერვე რაუნდში, როცა მოხუცი ნოკაუტი ჩავარდა. ნოკაუტამდე მოხუცმა რამდენიმე ძლიერი დარტყმა გაატარა, შემდეგ კი კომპაჩი ჩავარდა. ექიმები ამაოდ ცდილობდნენ მის გონზე მოყვანას.

**ცხენოსნობა.** იტალიელმა პოლიციელებმა ნარკოტიკებში მოვაჭრეთა საერთაშორისო დაჯგუფება აღმოაჩინეს. დამნაშავეები სადღაც ცხენების დომინგით ვაჭრობდნენ. დაკავებულთა ათი ადამიანი, რომლებსაც სხვა ბრალდებებიც წაუყენეს, მათ შორის, დღემდე მკინაცვიები.

დაჯგუფებას პრემიის მიავცნა. დაკავებისას ამოღებულია 400 აბი ანაბოლიკი და პორმონული პრეპარატები. გამოძიების თანახმად, აკრძალული პრეპარატები არგენტინიდან, კანადიდან და ავსტრალიიდანაა შეტანილი.

**ველოსპორტი.** 2006 წელს "ტურ დე ფრანსის" დირექტორი ჟან-მარი ლებლანი თანამდებობის დატოვებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ლებლანს იგივე განზრახვა ჰქონდა "ტურ დე ფრანსის" ასწლოვან რბოლაზე, 2003 წელს. "ტურის" საორგანიზაციო კომიტეტის მხკოვანი ხელმძღვანელი უსაძლო მემკვიდრედ დასახლებს კრისტინ პრიულესს, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში საფრანგეთის სამოყვარულო სპორტის ასოციაციაში ველოსპორტის მეთვრეუბანა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ლებლანმა პრიულდომი რბოლის საორგანიზაციო ჯგუფში სამუშაოდ მიიწვია.

არგბურთი

# ეისაზი რას ბიზველის, თუ თაბაში არ ისწავლე

მწვანე კონტინენტზე ტემპს იკრებს ავსტრალიის ღია ჩემპიონატის წლებიდან დაიწყო მისი წარმატება ჩოგბურთში. მესამე წრეში გავიდნენ ტურნირის პირველი ნომერი ამერიკელი ენდი როდიკი და შეჯიბრების მარშანდელი ტრიუმფატორი ანდრე აგასი. მათ ჩეხები - ბოგდან ულირაზი და ტომას ბერდიხი სამ სეტში დაამარცხეს. აგასიმ თამაში ეისით დაავიწყებინა და მეტოქეს სულ რაღაც 1 საათსა და 24 წუთში მოუთავა საქმე. რაც შეეხება ენდი როდიკს, მან 20 ეისითა და პირველ მონონდებზე არც ერთი შეცდომით, უსიტყვო კაპიტულაცია მიიღო ბოგდან ულირაზისგან - 6:2, 6:2, 6:3.



ტურნირის ფაქტობრივი: ანდრე აგასი და ენდი როდიკი უპრობლემოდ იგებენ

როდიკმა სამმაგი მატჩ-პოინტი მოიპოვა და გამარჯვებას პირველი მონონდებისთანავე, მეორე დარტყმაზე მიიღწია. მთლიანად კი წარმატების მისაღწევად ამერიკელს შარშან დონისგან მოხმარებაში მხილველი ჩეხის დასამარცხებლად 1 საათი და 13 წუთი დასჭირდა.

ალსანიშნავია, რომ ანდრე აგასის ჯერ სეტცი კი არ წაუგია. მეორე წრის შეხვედრაში "დიდი სლემის" ტურნირების 8-გზის გამარჯვებულმა 8 ბრეიკ-პოინტიდან 6 მოიგო. პირველი სეტი აგასიმ თავის სასარგებლოდ 18 წუთში დაამთავრა და მეტოქეს 27 წუთის განმავლობაში არ მისცა საშუალება, გეიმი მოეგო. "დღეს მე, მართლაც, კარგად ვგრძობი თავს და ჩემი დარტყმები ზუსტად იქ ვარდებოდა, სადაც მინდოდა", - თქვა აგასიმ, რომელსაც "მელბურნ პარკის" კორტზე 27 გამარჯვება დაუფროვდა.

მეტოქის შესახებ აგასიმ განაცხადა, რომ ბერდიხი პერსპექტიული ჩოგბურთელია. "30 წლამდე მეც ასე ვთამაშობდი. ამ ყმანვლის ნინაღმდეგ თამაში ახლავე ძალიან მიძივა", - შენიშნა ამერიკელმა. ალსანიშნავია, რომ ბერდიხმა მეტოქე ეისების რაოდენობით დაჩაგრა - 12:7. ჩეხის მხარეზე აქტიურად მოპოვებული ქულების რაოდენობაც - 27:23. თუმცა, ბერდიხმა გაცილებით მეტი უნებლიე შეცდომა დაუშვა - 35:10.

მესამე წრეში ანდრე აგასი სლოვაკ კაროლ ბეკს შეხვდება, ხოლო ენდი როდიკი შვედ ტომას ენკვისტთან გაარკვევს ურთიერთობას. ამასობაში ნიკოლა ესკუდემ, რომელმაც იანვარში დოხის ტურნირი მოიგო, სამ სეტში დაამარცხა რობინ სოდერლინგი - 6:3, 7:6, 6:4. ასე რომ, მისი გამარჯვების სერია 7 მატჩამდე გაიზარდა. შეგახსენებთ, რომ თითის ტრანშის გამო ესკუდემ, უიმბლდონიდან მოყოლებული, ყველა შეჯიბრება გამოტოვა.

ალსანიშნავია სიენგ შალკენისა და ტოდ მარტინის გამარჯვება. შალკენმა დავიდ ფერერი ჩამოიცილა გზიდან, ხოლო მარტინმა სამ სეტში დაამარცხა ხორვატი ივო კარ-

## ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მეორე წრე

<b>ენდი როდიკი (აშშ, 1) - ბოგდან ულირაზი (ჩეხეთი)</b>	6:2, 6:2, 6:3
ანდრე აგასი (აშშ, 4) - ტომას ბერდიხი (ჩეხეთი)	6:0, 6:2, 6:4
პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 9) - იან-მაიკლ გემბლი (აშშ)	6:4, 6:3, 6:2.
სიენგ შალკენი (პოლანდია, 16) - დავიდ ფერერი (ესპანეთი)	6:3, 6:2, 5:7, 6:1
გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 19) - ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	7:5, 6:7 (5:7), 6:4, 6:3
ტილორ დენტი (აშშ, 27) - ზუან იგნასიო ჩელა (არგენტინა)	3:6, 6:4, 4:6, 7:6 (7:4), 7:5
რობი ჯინეპრი (აშშ, 32) - კრის გუჩიონი (ავსტრალია)	6:4, 6:3, 6:3
ჯეიმი ბლეიკი (აშშ) - ნიკოლას ლაუნგი (ეკვადორი)	6:3, 7:6 (7:4), 2:6, 6:1
ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) - რობინ სოდერლინგი (შვედეთი)	6:3, 7:6 (7:4), 6:4
იურგენ მელცერი (ავსტრია) - ვალო ბლანკო (ესპანეთი)	6:3, 6:4, 6:3
დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) - გასტინ გაუდიო (არგენტინა)	6:1, 7:5, 6:0
მარატ საფინი (რუსეთი) - იარკო ნიემინენი (ფინეთი)	7:6 6:4, 4:6, 6:4
ტომას ენკვისტი (შვედეთი) - კაროლ ბეკი (სლოვაკეთი)	7:5, 4:6, 6:3, 6:4
ტოდ მარტინი (აშშ) - ივო კარლოვიჩი (ხორვატია)	7:6 (7:4), 7:6 (7:4), 7:6 (9:7)
ოლივიე პასიანსი (საფრანგეთი) - ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	7:6 (7:2), 6:7 (7:9), 6:3, 6:2

<b>ქალები:</b>	
ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 1) - კამი პენი (საფრანგეთი)	6:1, 6:4
ამელი მორესმო (საფრანგეთი, 4) - ლიუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი)	6:0, 6:2
ლინდსი დევენპორტი (აშშ, 5) - ემილი ლუა (საფრანგეთი)	6:3, 3:6, 6:0
ვერა ზეონარევა (რუსეთი, 11) - მელინდა ცინკი (უნგრეთი)	7:5, 6:4
ელენი დანილიუ (საბერძნეთი, 19) - კარა ბლეკი (ზიმბაბვე)	3:6, 6:0, 6:1
კლოდინ შაული (ლუქსემბურგი) - ელენა ბოიჩი (რუსეთი, 21)	6:4, 6:3
პეტრა მანდულა (უნგრეთი) - მაგდალენა მალევეა (ბულგარეთი, 24)	6:7 (6:8), 6:2, 6:3
სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 30) - ანტონია სერა-ძანეტი (იტალია)	7:6 (7:0), 6:4
ფაბიოლა ზულუაგა (კოლუმბია, 32) - მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა)	6:3, 6:4
ჯილ კრეიბასი (აშშ) - ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	6:2, 2:6, 7:5
ანაბელ მედინა-ჰარეგისი (ესპანეთი) - იულიანა ფედაკი (უკრაინა)	6:2, 2:6, 6:3
ნიკოლ პრატი (ავსტრალია) - აკიკო მორიგამი (იაპონია)	1:6, 6:3, 6:3
ანიკო კაპოში (უნგრეთი) - სამანტა სტოსარი (ავსტრალია)	6:3, 6:1
მარა სანტანჯელი (იტალია) - ბარბარა შეტი (ავსტრია)	7:6 (7:3), 0:6, 6:3
ლაურა გრანვილი (იტალია) - ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია)	6:2, 2:6, 6:1

ლოვიჩი. თუმცა, ყოველ სეტში მარტინს ტაი-ბრეიკის გათამაშება მოუხდა - 7:6, 7:6, 7:6. საგულბისხემა, რომ მარტინმა 33 ეისი იგემა კარლოვიჩისგან, რომელმაც უიმბლდონის მარშანდელი გათამაშების პირველივე წრეში დაამარცხა ლეიტონ ჰიუტი. მარტინმა, თავის მხრივ, 33-ს მხოლოდ 11 ეისით უპასუხა.

მესამე წრეში ტოდ მარტინი შეხვდება რუს მარატ საფინს, რომელიც ევგენი კაფელნიკოვის ნასვლის შემდეგ რუსების მთავარი იმედაა. მარტინიცა და საფინიც ძლიერ მონონდები გათამაშების პირველივე წრეში დაამარცხა ლეიტონ ჰიუტი. მარტინმა, თავის მხრივ, 33-ს მხოლოდ 11 ეისით უპასუხა.

რდა, რადგან "ივო ყველაზე ძლიერ მონონდებს ფლობს იმ ჩოგბურთელებიდან, ვისაც პროფესიული ჩოგბურთში შეხვედრივარ". ჯერჯერობით საფინი და მარტინი ერთადერთივე შეხვედრიან ერთმანეთს. 2000 წელს ამერიკის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში საფინმა სამ სეტში დაამარცხა მეტოქე - 6:4, 7:6, 7:6.

კრივი


# კლირკო-ლუისი II - ალბათ, შესაძლებელია!

### ბიბა ბარსაშვილი

გაურკვეველობა და ქაოსი კრივის სამყაროში ჩვეულებრივი ამბავია, მით უმეტეს, თუ ეს ზედა ეშელოებს - მძიმენონონსებს ესება. თუმცა, ინფორმაციულ ვაკუუმს ამა თუ იმ დაპირისპირების წინ გარკვეულწილად ინტრიგაც შეაქვს. მომავალი ორთაბრძოლების წინ გაურკვეველ ვითარებაში არიან უკრაინელი ძმები კლირკოებიც. ესეც ჩვეულებრივი სურათია. ამ მხრივ განსაკუთრებით უჩვეულოდ გამოიყურება უფროსი ძმის - ვიტალის კალენდარი. ბრიტანელი ლენოქს ლუისის დადამკვიდე, ვიტალი კლირკო, რა ხანია, ალბონის შესყურებს იმ იმედით, რომ ეს უკანასკნელი მასთან განმეორებით ორთაბრძოლაზე დათანხმდება.

ხოლო დროს განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიხსენებთ, საქმე თითქოს დაიძრა კიდევ. ყოველ შემთხვევაში, ლუისის საკრიგო კარიერის შესახებ განცხადებებით, ჯერჯერობით, ყურადღებას იმეორებენ მისი ბანაკის წარმომადგენლები, ან ისინი, ვისაც რაღაც შეხება აქვთ ბრიტანელთან. ლუისთან ყველაზე დაახლოებული პირის ემანუელ სტიუარტის ამსაინანდელი განცხადებით, ლუისი მშვენიერ ფორმაშია და მზადაა, აპრილ-მაისში ვიტალის ხელმეორედ შეერიკოს. რამდენად სარწმუნოა ლუისის დამრიგებლის ამგვარი განცხადება, ჯერ უცნობია, მაგრამ იმავე სტიუარტის ადრეულ განცხადებასაც თუ გაიხსენებთ, ლუისი მანამ არ ნავა რინგიდან, სანამ კლირკო-უფროსს არ შეხვდება და, შესაბამისად, კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონის ტიტულს ხელყოფისგან არ დაიცავს.

რაც შეეხება თავად ლუისს, მას პირში წყალი ჩაუგუებია და საკუთარ მომავალზე საუბრისგან თავს იკავებს. ჩემპიონის დამუხრებელი პოლიტიკის გამო კი საბჭოში ცოფება ყრინა და მას ულტიმატუმის ენით ელაპარაკებინა: ან თანხმობას განაცხადებ ვამეორებთ ორთაბრძოლაზე, ან ჩემპიონის ქამარს



კლირკო და ლუისი კიდევ აჩხუბებენ

ვაკანტურად გამოვაცხადებთ! ერთი სიტყვით, ნებისმიერ შემთხვევაში, წესით და რიგით, ლუისის რინგიდან წასვლა-არწასვლის შემთხვევაში უკრაინელს საბჭოს ქამრისკენ

გზა ესწრაფება. შეგახსენებთ, რომ 21 ივნისის შემდეგ ბრიტანელს მეტოქისთვის მუშტი აღარ მოუღებია. მაშინ კი უკრაინელის ხელყოფისგან დაიცვა საბჭოს უმ-

ჟანრაჟი

# ანანდი გამარჯვებულთან ასლოა

ვეიკ-ან-ზეეს საჭადრაკო ტურნირზე ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა თავიდან აიცილა უფრო ძლიერ ვლადიმირ კრამნიკთან შეხვედრა და ამით ნიდერლანდებში გამარჯვების ალბათობა შესამჩნევად გაზარდა. ანანდი სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს.

ანანდის შეხვედრა უახლოეს მდევარ ვლადიმირ კრამნიკთან განსაკუთრებით იზიდავდა ჟანრაჟის მოყვარულთა ყურადღებას და, როგორც ბოლო დროს იშვიათად ხდება ხოლმე, არ გააცრუა გულშემამტკივართა იმედები.

ამისთვის პირველ რიგში მაღლობა ეკუთვნის კრამნიკს, რომელმაც თეთრი ფიგურებით შემტევი თამაშის მანერა შესთავაზა მეტოქეს. კრამნიკი პირველივე სვლებიდან ძალზე აგრესიულად თამაშობდა და ცდილობდა, დაეთრგუნა ანანდი. პირველ ნუთებში ინდოელი, მართლაც, რადიკალიზად შემოქალი ჩანდა. შემდეგ კი სიტუაციაში გაერკვა და იგრძნო, თუ როგორ უნდა დაეღწია თავი კრამნიკის შეტევებისგან.

თეთრონ კრამნიკს კი თუ რამეში დაეცადაწაშლებოდა, პირველ რიგში იმაში, რომ უაღრესად იოლად თანხმდებოდა გაცვლებს. პრინციპში, საბოლოოდ სწორედ ამან უღალატა რუს დიდოსტატს. ფიგურები შემოეცალა, რითაც მან დაკარგა სივრცე ოპერატიული მოქმედებისთვის და თავისუფალი გადაწყვეტილების საშუალება. ამდენად, ანანდი საბოლოოდ, ფაქტობრივად, მეფის ციტადელის შიგნით გამომწყვდეული აღმოჩნდა, მაგრამ კრამნიკმა ვერ მოახერხა ამ სიტუაციიდან მოსალოდნელი და სასურველი შედეგის მიღწევა. ბრძოლის ამ სა-

ოცარმა ნაკადმა საკუთარ თავში 25 სვლა დაიტია, რომელთა შემდგომაც მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

მოვლენების ამგვარი განვითარება, რასაკვირველია, ანანდის ნისკვილზე ასხამს წყალს. მან ვეიკ-ან-ზეეს ტურნირზე ძირითად ფავორიტთან და თავის უშუალო კონკურენტთან დუელს გაუძლო და, თანაც, შავი ფიგურებით. შეჯიბრების დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი, მაგრამ უკვე იგრძნობა, რომ ინდოელ დიდოსტატს ღირსეულ ნინაღმდეგობას ვერც ერთი კონკურენტი ვერ გაუწევს. ანანდი უახლოეს მდევარს ერთი კლუთით უსწრებს, რომლის აღმოფხვრაც ძალიან ძნელი იქნება.

ანანდის ასეთი მნიშვნელოვანი მიღწევის პარალელურად უნდა აღინიშნოს ტურნირის მასპინძელთა ნარმატივებიც. ლუკ ვან ველში ფიგურებით დაამარცხა მაიკელ ადამსი, ხოლო იან ტიმანმა მოახერხა და შავი ფიგურებით გაუსწორდა ევგენი ბარევეს. ეს უკანასკნელი შედეგი ბევრმა უფრო სენსაციურად აღიქვა, ვიდრე სინამდვილეშია. კარგა დიდი ხანია, ტიმანი ტურნირის სუსტად იწყებს, მაგრამ შემდეგ ეგუება შეჯიბრებას და ტემპს იკრებს.

რაც შეეხება ლუკ ვან ველის, ის შორს არის თავისი საუკეთესო ფორმისგან, რომელშიც შარშან იყო. თუმცა, ადამსზე მისი სენსაციური გამარჯვება გარკვეულ კითხვებს ბადებს. ვან ველიმ სუსტად დაწყებული პარტია რთულ ენდშილში გადაიყვანა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კუ და სამი პაიკი უფრო ძლიერია, ვიდრე მხოლოდ დედოფალი.



ანანდს წინ ვედარაფერი დაუდგება

## TV-საორბი

<b>სუთშაბათი. 22 იანვარი</b>	
<b>HTB+ ფუტბოლ</b>	აპი კანადაში
13:00 თავისუფალი დარტყმა	17:25 "Power week - NHL-ის კვირა"
13:15 თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი	18:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (20:00) პრესცენტრი
15:10 თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი	22:00 "მოტოვებულები კვირა"
16:55 თავისუფალი დარტყმა	22:50 სახვლიო ტელეპროგრამა
17:10 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა	23:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
18:05 "დარტყმა გოლისთვის"	23:30 ჟანრაჟი. სუპერ-ტურნირი ვეიკ-ან-ზეეში
18:20 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "ლოკომოტივი" (რუსეთი) - "არსენალი" (ინგლისი)	00:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
20:20 "ფენხურთი ა-დან ნ-მდე"	01:00 ახალი ამბები
20:50 თავისუფალი დარტყმა	01:15 ფრენბურთი. EKB თასი. ფინალი.
21:05 სახვლიო ტელეპროგრამა	"ლოკომოტივი იზუმრუდი" (რუსეთი) - "ვოივოდინა" (სერბია და ჩერნოგორია).
21:15 "FUTBOL MUNDIAL"	პირველი მატჩი
21:45 პორტუგალიის ჩემპიონატი. "ვენფიკა" - "ზოვიშტა"	02:45 ტრამპლინინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში
23:30 თავისუფალი დარტყმა	03:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:45 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "შტუტგარტი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"	
01:40 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა	<b>EUOSPORT</b>
02:35 02:35-დან 04:00-მდე შესვენება	13:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
04:00 NBA TV. "CLEVELAND CAVALIERS" - "SACRAMENTO KINGS". პირდაპირი ტრანსლაცია	16:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
06:30 NBA-ს მიმოხილვა	17:15 ზაიტლონი. მსოფლიო თასი
<b>HTB+სპორტ</b>	18:45 ტრამპლინინიდან ხტომა. მსოფლიო თასი
11:00, 14:00, 17:10 პრესცენტრი	20:00 ბოზსლვი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
11:15, 22:45 "ოლიმპის შვილები"	21:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
11:20 აერობიკა	22:00 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი
11:55 ტრამპლინინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში. პირდაპირი ტრანსლაცია	23:00 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი
13:30 ჟანრაჟი. სუპერ-ტურნირი ვეიკ-ან-ზეეში	02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მონაკოში
14:25 სამთოასახილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრალიაში. ვაუტეი. სუპერგიგანტი. პირდაპირი ტრანსლაცია	02:45 ახალი ამბები
15:30 აიენის გზაზე	03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
16:30 სნოობორდი. მსოფლიო თასის ეტ-	04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
	06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი

# დეტროიტის ავტოსალონის სიახლეები



შევროლე კორვეტი C6



ფორდ 500



ფორდ მუსტანგი



ლინკოლნ მარკ X



ლენდ როვერ რეინჯ შტორმერი



ფორდ ბრონქო

## მერსედიზ-ბენცის

### კორვეტი

#### დაპინაზიანი იაბილი

ახალი, მეექვსე თაობის "კორვეტი" დებიუტს ჯერ კიდევ მარშან, ამ სპორტული ავტომობილის 50 წლისთავთან დაკავშირებით ელოდნენ, მაგრამ დებიუტი ნახევარი წლით გადაიდო სხვადასხვა ტექნიკური მიზეზის გამო. და აი, დეტროიტში "ჯენერალ მტორსმა" წარმოადგინა სრულიად ახალი "კორვეტი", რომელიც გარეგნობით მის წინამორბედებს კი მოგვაგონებს, მაგრამ აღჭურვილობის დონით ნებისმიერ კონკურენტს მისცემს ფორას.

ახალი "კორვეტის" გარეგნობაზე ლაპარაკისას, შეიძლება ითქვას, რომ იგი, პირველ რიგში, ევროპელი მყიდველისთვისაა განკუთვნილი. "კორვეტმა" კი შეინარჩუნა მისთვის დამახასიათებელი გრძელი კაპოტი და კაბინაც ოდნავ უკან აქვს დანეული, რაც უფრო ამერიკულ სტილს შეეფერება და "კორვეტის" ყველა თაობის მოდელებისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ, საერთო ჯამში, ავტომობილმა უფრო მკაცრი და რაფინირებული გარეგნობა მიიღო და ეს სწორედ ევროპული სტილისთვის გადახდილი ხარკია.

პირველ რიგში, თვალში გვხვდება ავტომობილის სათავო მარჯვენა, რომელიც ტრადიციულად, კაპოტი იყო ხოლმე ჩამალული, მაგრამ ამჯერად, ავტომობილის ევროპელობის ხაზგასმელად, დიზაინერებმა ეს მარჯვენა ზემოთ ამოიტანეს და საერთო შუშის ეკრანით დაფარეს. პოდა, ასეთი "კორვეტი" ერთთავად იტალიურ სუპერავტომობილებს დაემგვანა.

დიზაინერების ამოცანა იყო, შეენარჩუნებინათ ავტომობილის გარეგნობის ის ნიშნები, რომლებიც 60-80-იანი წლების "კორვეტისთვის" იყო დამახასიათებელი. იმავდროულად, ავტომობილს გააჩნია შესანიშნავი აეროდინამიკური მახასიათებლები, რაც, პირველ რიგში, საორბიტული ავტომობილისთვის მეტისმეტად დაბალ (0.28) აეროდინამიკური ნინაღმდეგობის კოეფიციენტში აისახება.

ავტომობილის ძარა და მთლიანად, მზიდი ელემენტი, დამზადებულია კომპოზიციური მასალებიდან, რაც უზრუნველყოფს მის სისხისტეს გრძელვადიანობას. ამასთან, კომპოზიტი უზრუნველყოფს ავტომობილის პანელების მაღალ ენერგომთანმიქმედე თვისებებს, რაც ავარიების დროს ინტერიერის დაზიანებულად შენარჩუნებასა და დარტყმის პოტენციური ენერჯის განეიტრალებას უზრუნველყოფს.

წინამორბედებთან შედარებით, "კორვეტი" ზომებში შემცირდა. წინა თაობის მოდელთან შედარებით ის 12.5 სანტიმეტრით მოკლე და 2.8 სანტიმეტრით ვიწროა. სამაგიეროდ, 2.8 მილიმეტრით გაიზარდა თვლების ბაზა (2.69 მეტრი). მოდერნიზებულ დაკიდების სისტემასთან ერთად ყველა ამ ცვლილებამ დადებითად იმოქმედა ავტომობილის მანევრულობაზე.

მექვსე თაობის "კორვეტი" აღჭურვილია ახალი რეაცილინდირანი ძრავით, რომლის მუშა მოცულობაც 6 ლიტრი, სიმძლავრე 405 ცხენის ძალა, მბრუნე მომენტი კი 542 ნ/მ-ია. მასთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი, ან ხუთსაფეხურიანი ავტომატი. ამ აღჭურვილობით "კორვეტი" ადგილიდან 100 კმ/სთ-ს 4.3 წამში ავითარებს, მაქსიმალური სიჩქარე კი 290 კმ/სთ-ზე მეტია.

ახალი "კორვეტის" გაყიდვები აშშ-ის ბაზარზე მიმდინარე წლის შუამდინდან დაიწყება, წლის ბოლოდან კი ის ხელმისაწვდომი გახდება ევროპელებისთვისაც.

## ფორდის ახალი ფლაგმანი

### ფორდის ახალი ფლაგმანი

დეტროიტში "ფორდმა" წარმოადგინა წარმოებისთვის გამზადებული სედანი, სახელად 500, რომელმაც კონცერნის სამოდელო რიგში უნდა შეცვალოს ტექნიკურად და მორალურად მოძველებული "ტაურასი". ამასთან, ახალი ავტომობილი ჩრდილოამერიკულ ბაზარზე "ციფერი ოვლის" საწარმოო პროგრამაში ფლაგმანის როლს შეასრულებს.

"ტაურასის" მექანიკურად კი ითვლება, მაგრამ 500 ბაზრის განსხვავებულ სეგმენტში დამკვიდრდება. ამას "ფორდის" მარკეტოლოგები ხსნიან იმ გარემოებით, რომ თანამედროვე ავტობაზარი სულ უფრო მცირე სეგმენტებად იყოფა, რაც გამოწვეულია კომპანიების შორის გამკაცრებული კონკურენციით, რის გამოც, მწარმოებლები გამოსავალს სრულიად ახალი ნიშის შექმნაში ხედავენ.

სწორედ ამ გარემოებათა გა-

მო, "ტაურასს" ერთბაშად ორი ახალი ავტომობილი, 500 და "ფრისტილი" შეცვლის. ამასთან, ეს უკანასკნელი ქროსოვერთა კლასს (პარკეტის ჯიშები) განეკუთვნება და ერთი წლის შემდეგ გამოჩნდება ბაზარზე. მთავარი ისაა, რომ ორივე ახალი ავტომობილი ერთ პლატფორმას და ერთ-სადაიმევე მაკომპლექტებელ ნაწილებს მიიღებს.

და მაინც, 500-ს ბევრი რამ, პირველ რიგში, მაინც "ტაურასთან" აახლოებს. ამასთან, კომფორტითა და მგზავრებისთვის განკუთვნილი ფართით, იგი გაცილებით სჯობს წინამორბედს. მაგალითად, უკანა მგზავრებისთვის სალონში იმდენივე ადგილია, რამდენიც "იერარქიულ კიბეზე" რეკლებით მაღლა მდგარ "როლს როის ფანტომში".

ოთხადგილიანი სედანის სიგრძე 5.099 მეტრია, ბაზა კი - 2.867 მეტრი, რითაც ის გაცილებით დიდია "მერსედეს-ბენცის" C-კლასის ავტომობილებზე და უახლოვდება "სამქიმიანთა" E-კლასის სედანებს.

ახალი ავტომობილის სქემა კლასიკურია ძრავის წინა განლაგებით და უკანა წამყვანი თვლებით. კაპოტის ქვეშ განლაგდება 3-ლიტრიანი V6, სახელად "დურატექსი", რომელიც 200 ცხენის ძალას ავითარებს და მისი მაქსიმალური მბრუნე მომენტი 272 ნ/მ-ია. ძრავთან აგრეგირებულია 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი, ანაც უსაფეხურო ვარიანტი. გარდა ამისა, შესაძლებელია ავტომობილზე სრულმოდულიანი (ოთხივე წამყვანი თვლით) ტრანსმისიის შეყვანა, რომელიც მხოლოდ ვარიანტით იქნება აღჭურვილი.

და ბოლოს, იგივე პლატფორმა გამოყენებულ იქნება "ფორდის" ამერიკულ დივიზიონ "მერკურის" ახალ სედან "მონდეოსთვის", რომელსაც 500-გან განსხვავებული დიზაინი ექნება, თუმცა ბევრი რამ ამ ავტომობილებს საერთო ექნებათ, როგორც ეს იყო "ფორდ ტაურასისა" და "მერკური სეიბლის" შემთხვევაში.

## ფორდ მუსტანგი

### ფორდ მუსტანგი

ლენდროვერის სპორტულ ავტომობილ "მუსტანგის" სრულიად ახალი კონცეპტუალური მოდელი ჯერ კიდევ დეტროიტის შარმანდელი ავტოსალონის ვარსკვლავი იყო, მაგრამ მასში "ფორდს" ჯერაც საბოლოოდ არ შექონდა გადაწყვეტილი, როდის დაიწყებოდა განახლებული "მუსტანგის" (1979 წლის შემდეგ ამ ავტომობილს თითქმის არ განუცვლია სერიოზული მოდერნიზება) წარმოება და თუ დაიწყებოდა, რა ფასი დაედებოდა მას.

ამ ავტომობილის წარმოებისთვის აუცილებელი მთავარი პირობა ის იყო, რომ მისი ღირებულება ბევრით არ უნდა გასცდენოდა 20 ათას დოლარს. წარმოებისთვის მოსამზადებელი პერიოდი სწორედ ისეთი ტექნოლოგიების დამუშავებაზე წავიდა, რომლებიც საბოლოო პროდუქტის შედარებით დაბალ ფასს განაპირობებდნენ.

და აი, დეტროიტის წლებიდან ავტოსალონზე კვლავ ვიხილეთ შარმანდელი შოუ-სტოპერი. მასში თითქმის არაფერია შეცვლილი, სამაგიეროდ, იგი უკვე საწარმოო მოდელია და თანაც, მისი ღირებულება, აღჭურვის დონის მიხედვით, 20-30 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს.

ალბათ, კიდევ ერთხელ ღირს იმის ხაზგასმის, რომ ახალი "მუსტანგი" პრაქტიკულად იმეორებს ამ ლენდროვერული ავტომობილის პირველი, ყველაზე პოპულარული თაობის გარეგნობას. თუმცა, ძველი დიზაინი თანამედროვე მოდის მოთხოვნებთანაა შესაბამისი და თანაც, ისე ოსტატურად, რომ მზახველი ალტაცებში მოჰყავს. ჰოდა, რაღა გასაკვირი უნდა იყოს, რომ მასზე "ფორდის" ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს.

რაც შეეხება ავტომობილის აღჭურვას, პირველ რიგში, ახალი "მუსტანგი" 200 ცხენისძალიანი, ოთხლიტრიანი V6-ს მიიღებს, მოვიანებით კი მყიდველს შესაძლებლობა ექნება, თავისი სურვილისამებრ აირჩიოს ან ეს აგრეგატი, ან 4.6-ლიტრიანი V8 300 ცხენის ძალით. ძრავთან შეწყვილებულია 4-საფეხურიანი, ავტომატური გადაცემათა კოლოფი.

ავტომობილს სრულიად ახალი შასი გააჩნია, თუმცა შეთანხმება კლასიკური აქვს (ძრავი და გადაცემათა კოლოფი წინ, წამყვანი თვლები უკან) შენარჩუნებული. იგი შექმნილია იმისათვის, რომ მძღოლს კლასიკური განლაგების მქონე სპორტული ავტომობილის მანევრირების უნარით მიახლოვდეს სიახლოვება.

რადიკალურადაა განახლებული "მუსტანგის" ინტერიერი. კომპანიის შეფ-დიზაინერ ლარი კოქსონის თქმით, "ეს არის 20-ათას-დოლარიანი ავტომობილი 30-ათას-დოლარიანი ავტომობილის სალონით". ამით პრაქტიკულად ყველაფერია ნათქვამი, კონკრეტულად კი ამის ერთი სიტყვით განმარტება ასე შეიძლება: სალონში შენარჩუნებულია კლასიკური "მუსტანგის" სტილი, თუმცა აქ თანამედროვე, ძვირადღირებული მასალებია გამოყენებული. სალონითა და მგზავრებისთვის განკუთვნილია პანელის განათების სრულიად ახალი ტექნოლოგია. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, "მუსტანგი" ისევ კლასიკურ სპორტულ ავტომობილად რჩება ხელსაწყობა მინიმალური რაოდენობით.

ახალი "ფორდ მუსტანგის" გაყიდვების დაწყება მიმდინარე წლის ზაფხულისთვისაა ნაგავიუდები.

## ლინკოლნ მარკ X

### ლინკოლნ მარკ X

დეტროიტშივე "ფორდმა" წარმოადგინა კონცეპტუალური როდესტერი "ლინკოლნ მარკ X" (მარკათი), რომელიც სხვა არაფერია, თუ არა დიზაინერთა საქმიანი გართობა თემაზე "მოდერნიზებული" ავტომობილებს დასაკვიცე სახურავით, რომელიც სულ რაღაც წამებში იკეცება და შედგება, მოხდენილი კუბე წარმოგვიდგება ასევე მოხდენილ როდესტერად.

ამ კონცეპტუალური ავტომობილის ბაზისად გამოყენებულია "ფორდ ტანდერბერდის" პლატფორმა, რომლის წარმოებაც დღეისათვის შეჩერებულია. ამავე მოდელსგან როდესტერმა მიიღო 3.9-ლიტრიანი ბენზინის V8, რომლის მაქსიმალური სიმძლავრეც 280 ცხენის ძალაა და რომლის საშუალებითაც ავტომობილი 232 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს.

ალსანიშნავია, რომ "ლინკოლნ მარკ X"-ის გარეგნობაში ამკარად იგრძნობა მსგავსება ამ მარკის სხვა კონცეპტუალურ მოდელებთან. ავტომობილს წინა ნაწილის უჩვეულო გაფორმება აქვს, რომელშიც 60-70-იანი წლების "ლინკოლნების" შტრიხები შეინიშნება. აქ თვალმისაცემია რადიატორისა და მთავარი მარჯვენის უჩვეულო მოყვანილობა. უკანა ნაწილშიც როდესტერი ძველ "ლინკოლნებს" გაასხვავებს მნახველს. აქ პირველ რიგში ყურადღებას იქცევს გრძელი საბარგული და უკანა შუქფარების დახრილი პანელი, რომელთანაც ინტეგრირებულია უკანა ბამპერი.

ავტომობილის სხვა თავისებურებათაგან აღსანიშნავია დასაკვიცი მოთავსებული უზარმაზარი ლუკი, რომელიც პრაქტიკულად მთელ სახურავს მოიცავს და დიდი, 19-დუიმიანი თვლები, რომელთა ზომებია: წინაში 245/40 და უკანასი - 275/35.

კონცერნის წარმომადგენელთა განცხადებით, "ლინკოლნ მარკ X"-ის წარმოება ჯერჯერობით დაგეგმილი არ არის. არადა, ამ ავტომობილს თავისუფლად შეუძლია კონკურენცია "კაილიაკ XLR"-თან, რომლის გაყიდვებიც ცოტაა ხნის წინ დაიწყო, მაგრამ უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს ავტომოყვარულთა შორის.

## ლენდ როვერი

### ლენდ როვერი

დეტროიტში "ფორდის" ფრთას შეფარებულმა ინგლისურმა კომპანია "ლენდ როვერმა" წარმოადგინა სრულიად ახალი კონცეპტული ავტომობილი სახელს როდესტერი "რეინჯ შტორმერი", რომელშიც მარკისთვის ჩვეულებრივ, უფ ზოობის ავტომობილისთვის დამახასიათებელ თვისებებთან სპორტული ნივთია შეზავებული.

"ლენდ როვერის" მთავარი დიზაინერის, ჯეფ იუპექსის ძალისხმევით შედგება, ავტომობილი გარეგნულად ერთგვარ უგზობის კუპეს მოგავიწყებს და ამ შთაბეჭდილებას აძლიერებენ 22-დუიმიანი თვლები. "რეინჯ შტორმერი" აგებულია სრულიად ახალ, T5 პლატფორმაზე, რომელიც ინტეგრირებულია ჩარჩოსთან კონსტრუქციის შიდა ძარასთან. ამ პლატფორმის პირველი ვარიანტი თავდაპირველად გამოყენებულ იქნა ახალ "დისკვერისზე", მაგრამ "რეინჯ შტორმერისთვის" მან სრულიად ახალი, ოთხივე თვისის დაკიდების აბაზოგული სისტემა მიიღო. გარდა ამისა, შასის რეგულირება 6 დიაპაზონშია შესაძლებელი.

"რეინჯ შტორმერი" სულ ორი კარი აქვს, რომლებიც ორ ნაწილად არიან გაყოფილი. თუ ზედა ნაწილი ვერტიკალურად იღება, როგორც ეს "ლამბორგინის" სუპერავტომობილებში გვხვდება,

ქვედა ნაწილები დაბლა იხსნება და ერთგვარ ზღურბლს წარმოქმნის, რითაც სალონში უფრო ადვილად შედგების შესაძლებლობა იქმნება. ანალოგიურად იღება უკანა, მესამე კარიც. ავტომობილის კიდევ ერთი დამახასიათებელი გარეგნული ნიშანია კაპოტზე გამოტანილი გამოსაბოლქვი მილები ბოლოები, რაც "რეინჯ შტორმერის" სპორტულობას უსვამს ხაზს.

სალონში სულ ოთხი სავარძელია, მგზავრებს კი გარემოსთან "ახლოება" მილინად შუშისგან დამზადებული სახურავი. ავტომობილის სპორტულობას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ მის კაპოტქვეშ განლაგებულია "იგუარისგან" ნასესხები, ტურბოკომპრესორი ალტურვილი 4.3-ლიტრიანი V8-ით, რომელიც 370 ცხენის ძალას ავითარებს. ეს აგრეგატი შეწყვილებულია 6-საფეხურიან ავტომატურ ტრანსმისიასთან.

სამწუხაროდ, ამ ორიგინალური ავტომობილის წარმოება ჯერჯერობით არ შედის ინგლისური კომპანიის სანარმოო გეგმებში, თუმცა გამორიცხული მაინც არაფერია. ამასთან, დეტროიტში წარმოადგენილი "რეინჯ შტორმერი" ბევრი იდეა გამოყენებას აუცილებლად პოეებს მარკის სხვა მოდელებში, რომლებიც უახლოეს მომავალში გამოჩნდებიან ბაზარზე. მაგალითად, მისი პლატფორმა 2005 წამოდგელო წლის "დისკვერისზე" და 2006 წამოდგელო წლის "რეინჯ როვერ სპორტზე" იქნება გამოყენებული.

## ფორდ ბრონქო

### ფორდ ბრონქო

რაც დრო გადის, გვრთ წოდებული უგზობის ავტომობილები თანდათან კარგავენ თავიანთ პირვანდელ დანიშნულებას და ეგრეთ წოდებულ პარკეტის ჯიშებად გარდაქმნიებიან. ტენდენციას აძლიერებს ის გარემოება, რომ ასეთი ავტომობილები უფრო მიმზიდველად გამოიყურებიან მყიდველთა უმეტესობისთვის, რომლებიც თავიანთი ავტომობილის გარეგნობის გაუმჯობესების ხარჯზე თანახმნი არიან, შესწირონ მისი ისეთი თვისებები, როგორებიცაა ყველაგანმავალი ავტომობილის თვისება, როგორიცაა ხასიათებიანი კლასიკური ჯიშები.

მას შემდეგ, რაც "ჯენერალ მტორსმა" სამოქალაქო ფორმაში გამოიყვლილი "პამერების" გაყიდა დაიწყო, ავტომწარმოებლები მიხვდნენ, რომ უგზობის ავტომობილების პარკეტზე გადაყვანასთან ერთად, თანდათან განიტვირთა ბაზრის ის სეგმენტი, სადაც მხოლოდ ქვემარტივი ჯიშები, უგზობის ნამდვილი ავტომობილები გვხვდება. ბუნებრივია, მზარდი კონკურენციის პირობებში "პარკეტზე გადასვლის" ტენდენცია იღვხანს არ უნდა გაგრძელდეს და როგორც ჩანს, ასეც იქნება. ყოველ შემთხვევაში, დეტროიტის "კომო სენტრის" საგამოყენო კომპლექსში ამის რამდენიმე მაგალითი იხილა დამთვალიერებელმა.

ერთ-ერთი ამ მაგალითთაგანია "ფორდის" ბრაზილიური შტოს მიერ დამზადებული უგზობის ავტომობილი სახელად "ბრონქო". ამ ავტომობილის ნახვისას პირველი, რაც თვალში გვხვდება, არის მისი დაკუთვული, კვადრატული ფორმა, რაც სულაც არ შეეფერება თანამედროვე სტილს, თუმცა გავარძნობინებს, რომ ამ ავტომობილის დანიშნულება თავის მოწონება კი არა, რთულ საგზაო პირობებში მგზავრთა გადაყვანაა.

"ფორდის" დიზაინის განყოფილების დირექტორ ჯეი მისი სიტყვებით: "ეს არის კონცეპტია, რომელიც გვიჩვენებს, თუ საიდან დაიწყო უგზობის ავტომობილების განვითარება ფორმების გარეშე. წინაშეა მესტის გროვა, რომელშიც საკმაოადა ადგილი ადამიანებისათვის და რომელსაც გააჩნია მხოლოდ ის ხელსაწყობი, რომელიც ავტომობილის მართვისთვისაა აუცილებელი".

დეტროიტში წარმოადგენილი "ბრონქო" ორლიტრიანი ტურბოდიზელთაა აღჭურვილი, რომლის სიმძლავრეც სულ რაღაც 128 ცხენის ძალას შეადგენს. იქნებ, ეს მეტისმეტად ცოტაა ასეთი ავტომობილისთვის. პოდა, კონსტრუქტორებმა მისი სიმძლავრის მოყვარულთათვის გაითვალისწინეს აზოტატის შემცვენი, რომელიც აგრეგატს 178 ცხენის ძალამდე აძლიერებს, მისი მბრუნე მომენტი კი 330 ნ/მ-ს აღწევს.

პირებს თუ არა "ფორდს" ამ ავტომობილის სერიალად წარმოებას და გასულ დეკადებში მეტად პოპულარული სახელ "ბრონქოს" აღდგენას, ამის შესახებ დეტროიტში არაფერი თქმულია, თუმცა ნათელია, რომ მასში "გამოცდილი" ბევრი სიახლე აუცილებლად იქნება გამოყენებული კომპანიის სხვა მოდელებში.



